პროლეტარეგო ყველა ქვეყნისა, შეერთდით!

კომუნისტი

საქართველოს კომუნისტური პარტიის ცენტრალური კომიტეტის, თბილისის კომიტეტისა და საქართველოს სსრ მშრომელთა დეპუტატების საბჭოების ორგანო

КОМУНИСТИ — ОРГАН ЦК и ТК КП ГРУЗИИ и СОВЕТОВ ДЕПУТАТОВ ТРУДЯЩИХСЯ ГРУЗИНСКОЙ ССР

გამოცემის 36-ე წელი № 308 (10394) | შაბათი, 31 დეკემბერი, 1955 წ. | ფასი 20 კაპ.

სსრ კავშირის, ინდოეთის რესპუბლიკის, ბირმის კავშირისა და ავღანეთის, ისევე როგორც ყველა სხვა მშვიდობისმოყვარე სახელმწიფოს ინტერესთა ერთობა ხალხთა მშვიდობისა და ეროვნული დამოუკიდებლობის უზრუნველყოფის დარგში ქმნის იმისათვის საჭირო პირობებს, რომ ამ ქვეყნებს შორის განვითარდეს მტკიცე და ხანგრძლივი მეგობრობა, რომ მათ შორის განმტკიცდეს თანამშრომლობა მათი ხალხების სასარგებლოდ, საყოველთაო მშვიდობის ინტერესებისათვის.

(სსრ კავშირის უმაღლესი საბჭოს დადგენილებიდან).

დ ა დ გ ე ნ ი ლ ე ბ ა

სსრ კავშირის უმაღლესი საბჭოსი

სსრ კავშირის მინისტრთა საბჭოს თავმჯდომარის ამხ. ნ. ა. ბულგანინისა და სსრ კავშირის უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის წევრის ამხ. ნ. ს. ხრუშჩოვის ინდოეთში, ბირმასა და ავღანეთში მოგზაურობის შედეგების შესახებ

მოისმინა და განიხილა რა სსრ კავშირის მინისტრთა საბჭოს თავმჯდომარის ამხ. ნ. ა. ბულგანინისა და სსრ კავშირის უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის წევრის ამხ. ნ. ს. ხრუშჩოვის ცნობები ინდოეთში, ბირმის კავშირსა და ავღანეთში მათი მოგზაურობის შესახებ, სსრ კავშირის უმაღლესი საბჭო სრულ კმაყოფილებას გამოთქვამს ამ მოგზაურობის შედეგების გამო.

სსრ კავშირის უმაღლესი საბჭო აღნიშნავს, რომ სსრ კავშირის ხელმძღვანელ სახელმწიფო მოღვაწეთა მეგობრული ვიზიტი ამ ქვეყნებში გადაიქცა დიდ პოლიტიკურ მოვლენად, რომელიც ხელს უწყობს მშვიდობის განმტკიცებას აზიასა და შორეულ აღმოსავლეთში, აგრეთვე საერთაშორისო ურთიერთობის დაძაბულობის შემდგომ შენელებას.

ენთუზიაზმი და გულითადი გრძნობები, რომლებითაც საბჭოთა სახელმწიფო მოღვაწეებს შეხვდნენ ინდოეთში, ბირმასა და ავღანეთში, სსრ კავშირის უმაღლეს საბჭოს მიაჩნია საბჭოთა კავშირის ხალხებისადმი ამ ქვეყნების ხალხთა ღრმა პატივისცემისა და მეგობრობის გამოვლინებად. მხურვალე მიღება, რომელიც საბჭოთა ხალხის წარმომადგენლებს მოუწყეს, ცხადყოფს, რომ ჩვენი ხალხის ღონისძიებანი მშვიდობისათვის ბრძოლაში და ჩვენი ქვეყნის მიღწევები მახლობელი და გასაგებია ინდოეთის, ბირმისა და ავღანეთის ხალხებისათვის.

სსრ კავშირის უმაღლესი საბჭო აღნიშნავს, რომ ამხანაგების ნ. ა. ბულგანინისა და ნ. ს. ხრუშჩოვის მოგზაურობის შედეგად ახალი დიდი ნაბიჯი გადაიდგა, რათა განმტკიცდეს დიდ ინდოეთთან, ბირმასა და ავღანეთთან სსრ კავშირის მეგობრობა და თანამშრომლობა მშვიდობისათვის, „ცივი ომის“ ლიკვიდაციისა და საერთაშორისო დაძაბულობის შემდგომი შენელებისათვის ბრძოლაში. კვლავ დადასტურდა ჩვენი სახელმწიფოების მიზნებისა და მისწრაფებების ერთიანობა საერთაშორისო ცხოვრების ძირეულ საკითხში — მშვიდობის შენარჩუნებისა და განმტკიცების საკითხში. სსრ კავშირის, ინდოეთის, ბირმისა და ავღანეთის შეხედულებათა ეს ერთობა წარმავალი მიზეზებით კი არ აიხსნება, არამედ ეს შედეგია ამ სახელმწიფოთა ძირეული ინტერესების ერთობისა, რომელნიც ესწრაფვიან ხალხთა მშვიდობასა და უშიშროებას.

მოლაპარაკების დროს გამოვლინდა შეხედულებათა ერთობა ამ ქვეყნების ურთიერთობის უმნიშვნელოვანეს საკითხებზე, აგრეთვე უდიდეს საერთაშორისო პრობლემებზე: განიარაღება და ატომური და წყალბადის იარაღის უთუო აკრძალვა, ჩინეთის სახალხო რესპუბლიკის კანონიერ უფლებათა დაკმაყოფილება სანაპირო კუნძულებისა და კუნძულ ტაივანის მიმართ, ჩინეთის სახალხო რესპუბლიკისათვის მისი კანონიერი ადგილის მიცემა გაერთიანებული ერების ორგანიზაციაში და აზიისა და შორეული აღმოსავლეთის სხვა გადაუჭრელი პრობლემების მოწესრიგება ხალხის კანონიერ უფლებათა შესაბამისად.

დიდი მნიშვნელობა აქვს მიღწეულ ერთსულოვნებას იმ საკითხში, რომ მშვიდობა შეიძლება უზრუნველყოფილ იქნას მხოლოდ სახელმწიფოების კოლექტიურ ღონისძიებათა გზით.

საბჭოთა კავშირისა და ინდოეთის, ბირმისა და ავღანეთის ურთიერთობას საფუძვლად უდევს შემდეგი პრინციპები: ტერიტორიული მთლიანობისა და სუვერენიტეტის ურთიერთპატივისცემა, თავდაუსხმელობა, ერთმანეთის საშინაო საქმეებში ჩაურევლობა, თანასწორობა და ურთიერთსარგებლობა, სახელმწიფოთა მშვიდობიანი თანაარსებობა, მიუხედავად მათი საზოგადოებრივი წყობილებისა.

უმაღლესი საბჭო კმაყოფილებით აღნიშნავს, რომ ეს პრინციპები სულ უფრო ფართო საერთაშორისო აღიარებას პოულობენ. ეს პრინციპები უდევს საფუძვლად ჩინეთის სახალხო რესპუბლიკის ურთიერთობას სხვა ქვეყნებთან, ამ პრინციპებს დაუჭირეს მხარი ბანდუნგის კონფერენციის მონაწილე ქვეყნებმა, აგრეთვე ევროპისა და აზიის მთელმა რიგმა სხვა სახელმწიფოებმა. თუ ყველა სახელმწიფო ამ პრინციპებს მიიღებს თავის ურთიერთობაში, ამას უდიდესი მნიშვნელობა ექნება იმისათვის, რომ საჭირო ნდობა დამყარდეს სახელმწიფოთა შორის და აღმოიფხვრას ახალი ომის საფრთხე.

ამხანაგების ნ. ა. ბულგანინისა და ნ. ს. ხრუშჩოვის აზიის ქვეყნებში მოგზაურობის დიდმნიშვნელოვანი შედეგია აგრეთვე ამ ქვეყნებთან მიღწეული შეთანხმებანი ვაჭრობის, ეკონომიური, კულტურული და სხვა ურთიერთობის გაფართოების შესახებ, შეთანხმებანი, რომლებსაც საფუძვლად უდევს თანასწორობისა და ურთიერთსარგებლობის პრინციპი, ისე რომ თავს არ მოახვიონ ერთმანეთს პოლიტიკური ან სამხედრო ხასიათის რაიმე ვალდებულება.

სსრ კავშირის უმაღლესი საბჭო გამოთქვამს რწმენას, რომ საბჭოთა კავშირს, ინდოეთს, ბირმასა და ავღანეთს შორის კონტაქტები და თანამშრომლობა სახელმწიფო, ეკონომიური, საზოგადოებრივი და კულტურული მოღვაწეობის სხვადასხვა დარგში წარმატებით განვითარდება და განხორციელდება ღონისძიებანი, რათა გაფართოვდეს ხალხთა გაცნობა ერთმანეთის ცხოვრებასთან, მიღწევებთან და კულტურასთან, აგრეთვე გამოცდილების ურთიერთგაზიარება.

სსრ კავშირის, ინდოეთის რესპუბლიკის, ბირმის კავშირისა და ავღანეთის, ისევე როგორც ყველა სხვა მშვიდობისმოყვარე სახელმწიფოს ინტერესთა ერთობა ხალხთა მშვიდობისა და ეროვნული დამოუკიდებლობის უზრუნველყოფის დარგში ქმნის იმისათვის საჭირო პირობებს, რომ ამ ქვეყნებს შორის განვითარდეს მტკიცე და ხანგრძლივი მეგობრობა, რომ მათ შორის განმტკიცდეს თანამშრომლობა მათი ხალხების სასარგებლოდ, საყოველთაო მშვიდობის ინტერესებისათვის.

ამხანაგების ნ. ა. ბულგანინისა და ნ. ს. ხრუშჩოვის მოგზაურობამ ინდოეთში, ბირმასა და ავღანეთში უდიდესი დადებითი გამოხმაურება ჰპოვა ბევრი, განსაკუთრებით კოლონიური და დამოკიდებული ქვეყნების ხალხებში და ამ მოგზაურობას მიესალმებოდა ყველა, ვინც გულწრფელად დაინტერესებულია ომის საფრთხის აღმოფხვრით, მტკიცე და ხანგრძლივი მშვიდობით.

საბჭოთა სოციალისტური რესპუბლიკების კავშირის უმაღლეს საბჭოს მიაჩნია, რომ სსრ კავშირის მინისტრთა საბჭოს თავმჯდომარის ამხ. ნ. ა. ბულგანინისა და სსრ კავშირის უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის წევრის ამხ. ნ. ს. ხრუშჩოვის მოგზაურობამ ცხადყო, თუ რა დიდი მნიშვნელობა აქვს სახელმწიფო მოღვაწეთა პირად კონტაქტს ურთიერთგაგებისათვის, სახელმწიფოთა შორის ნდობის დამყარებისა და საერთაშორისო თანამშრომლობის განვითარებისათვის. ეს მოგზაურობა ხელს შეუწყობს ომის მომხრეთა ძალების დასუსტებას, მთელ მსოფლიოში მშვიდობის განმტკიცებას.

სსრ კავშირის უმაღლესი საბჭო **ადგენს:**

მოწონებულ იქნას სსრ კავშირის მინისტრთა საბჭოს თავმჯდომარის ამხ. ნ. ა. ბულგანინის და სსრ კავშირის უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის წევრის ამხ. ნ. ს. ხრუშჩოვის საქმიანობა ინდოეთის რესპუბლიკაში, ბირმის კავშირსა და ავღანეთში მათი მოგზაურობის დროს, რადგან იგი სავსებით შეესაბამება საბჭოთა კავშირის მშვიდობისმოყვარულ საგარეო პოლიტიკას და ხელს უწყობს ხალხთა შორის მშვიდობის, მეგობრობისა და თანამშრომლობის საქმის განმტკიცებას.

მოსკოვი, კრემლი.
1955 წ. 29 დეკემბერი.

ა მ ხ ა ნ ა გ ნ. ს. ხ რ უ შ ჩ ო ვ ი ს ს ი ტ ყ ვ ა

ამხანაგო დეპუტატებო!

ჩვენ მოვისმინეთ ამხანაგ ნიკოლოზ ალექსანდრეს-ძე ბულგანინის მოხსენება სამ მეგობრულ ქვეყანაში — ინდოეთში, ბირმასა და ავღანეთში ჩვენი მოგზაურობის შედეგების შესახებ. ამ მოხსენებაში გამოხატულია ის ძირითადი, რაც საჭირო იყო მოგვეხსენებინა უმაღლესი საბჭოსათვის ჩვენი მოგზაურობისა და მოლაპარაკების შედეგებზე, რომელსაც ჩვენ ვაწარმოებდით საბჭოთა მთავრობის დავალებით ამ ქვეყნებში, იმ შეთანხმებებზე, რომლებიც მიღწეულია საბჭოთა კავშირის მთავრობასა და ინდოეთის, ბირმისა და ავღანეთის მთავრობებს შორის.

სავსებით ვეთანხმები ამხანაგ ბულგანინის მოხსენების ყველა დებულებას. მინდა აგრეთვე აზრი გამოვთქვა ზოგიერთ საკითხზე.

საბჭოთა მთავრობამ სიხარულით მიიღო ინდოეთის პრემიერ-მინისტრის ბატონ ნერუს მიწვევა და გაგვგზავნა ჩვენ ინდოეთში საპასუხო მეგობრული ვიზიტით, რათა პირადი კონტაქტი დაგვემყარებინა ინდოეთის ხელმძღვანელებთან და ხალხთან. ბევრი რამ არის საერთო, რაც აერთიანებს ჩვენს ქვეყნებს, და მთავარია ბრძოლა მთელ მსოფლიოში მშვიდობის განმტკიცებისათვის.

ვფიქრობ, საჭირო არ არის ვილაპარაკო ინდოეთის რესპუბლიკის მნიშვნელობაზე. დიდ ინდოელ ხალხს მტკიცედ აქვს გადაწყვეტილი განამტკიცოს ის მიერ მოპოვებული ეროვნული და პოლიტიკური დამოუკიდებლობა თავისი ქვეყნისა. ინდოეთი, როგორც მშვიდობისმოყვარე სახელმწიფო, სულ უფრო მზარდ როლს ასრულებს ბევრი უმნიშვნელოვანესი საერთაშორისო საკითხის გადაჭრაში. იგი აქტიური მებრძოლია მთელ მსოფლიოში მშვიდობის შენარჩუნებისა და განმტკიცებისათვის.

ინდოეთის ხალხები, რომლებიც განთავისუფლდნენ კოლონიური რეჟიმისაგან, მტკიცედ ეძებენ თავიანთი ქვეყნის განვითარების საკუთარ გზებს. ინდოეთის რესპუბლიკის მთავრობა, რომელსაც სათავეში უდგას ისეთი გამოჩენილი სახელმწიფო და პოლიტიკური მოღვაწე, როგორიც არის პატივცემული პრემიერ-მინისტრი ჯავაჰარლალ ნერუ, თანმიმდევრულად ახორციელებს სხვა სახელმწიფოებისაგან თავის დამოუკიდებელ პოლიტიკას. და ეს დიდი პატივისცემის ღირსია.

ჩვენი ქვეყნების მჭიდრო ურთიერთობა და საქმიანი თანამშრომლობა სასარგებლო და ხელსაყრელია ორივე მხარისათვის.

ასეთივე მოსაზრებებით ვხელმძღვანელობდით, როცა მივიღეთ ბირმის მთავრობისა და ავღანეთის მთავრობის მიწვევა ჩავსულიყავით ამ ქვეყნებში.

ჩვენ ვიცოდით, რომ ჩვენი ვიზიტი ინდოეთში, ბირმასა და ავღანეთში გამოიწვევდა კოლონიზატორთა უკმაყოფილებას, რომლებსაც ეშინიათ, რომ საბჭოთა კავშირის მეგობრობის განმტკიცება იმ ქვეყნებთან, რომლებიც ჯერ კიდევ ცოტა ხნის წინათ მათს უღელქვეშ იყვნენ, ხელს შეუწყობს კოლონიური სახელმწიფოების პოზიციების შემდგომ შესუსტებას. მაგრამ ბატონმა კოლონიზატორებმა მხოლოდ თავისთავს უნდა უსაყვედურონ.

ყველამ იცის, რომ სხვა სახელმწიფოებთან საბჭოთა კავშირის თანამშრომლობისა და მეგობრობის პრინციპები ძირეულად განსხვავდებიან იმ პრინციპებისაგან, რომლებსაც ეყრდნობა კოლონიზატორთა პოლიტიკა. საბჭოთა კავშირი, უჩვენებს რა ყველა ხალხისა და ქვეყნის, დიდი და პატარა ხალხისა და ქვეყნის ინტერესების ღრმა გაგებისა და პატივისცემის მაგალითს, ემყარება იმას, რომ არ არიან არათანასწორუფლებიანი ან არასრულფასოვანი ხალხები.

განამტკიცებს რა მეგობრობას სხვა სახელმწიფოებთან, საბჭოთა კავშირი არ აბეჭდავს მათ თავს თავის ნებას, არ უკარნახებს რაიმე წინასწარ პირობებს, როგორც ამას სჩადიან იმპერიალისტური სახელმწიფოები. ამასთან იგი არ ეძებს რაიმე განსაკუთრებულ სარგებლობას თავისთვის, არამედ ითვალისწინებს, რომ საქმე აქვს თანასწორუფლებიან პარტნიორებთან, რომელთა ინტერესებს პატივს უნდა ვცემდეთ.

თვითეულ ხალხს უფლება აქვს ისე აშენოს თავისი ცხოვრება, როგორც მას სურს. ერთი ქვეყნის მიერ მეორის დამონება ან გაძარცვა უდიდესი უსამართლობა და სამარცხვინო მოვლენაა.

ხალხთა თანასწორუფლებიანობა, ერთი სახელმწიფოს საშინაო საქმეებში მეორე სახელმწიფოს ჩაურევლობა, თავდაუსხმელობა, ქვეყნების მშვიდობიანი თანაარსებობა მუხედავად მათი პოლიტიკური სისტემებისა — ასეთ პრინციპებს ემყარებოდა მუდამ ჩვენი ურთიერთობა სხვა ქვეყნებთან. ჩვენს მიერ ამ პრინციპების ზუსტად დაცვა, აზიის სახელმწიფოებთან ჩვენი თანამშრომლობა, რომელიც სულ უფრო მჭიდრო ხდება, აიძულებს კოლონიზატორებს გარდაქმნან თავიანთი ტაქტიკა იმ ქვეყნების მიმართ, სადაც ისინი ცდილობენ შეინარჩუნონ თავიანთი პოზიციები, ამსუბუქებს ამ ქვეყნების მდგომარეობას.

ეს კი მცირე მნიშვნელობის ფაქტორი როდია.

ჩვენ ვითვალისწინებდით იმასაც, რომ ჩვენი ვიზიტი ინდოეთში, ბირმასა და ავღანეთში ხელს შეუწყობს არა მარტო ჩვენი ქვეყნების ხელმძღვანელთა დაახლოებას, არამედ აგრეთვე ხალხების დაახლოებას. ინდოეთის, ბირმისა და ავღანეთის ხალხებს შესაძლებლობა მიეცათ მეტი გაგებოთ საბჭოთა კავშირის შესახებ, საბჭოთა ქვეყნის ხალხთა ცხოვრების შესახებ. და ეს ხელს შეუწყობს ჩვენი მეგობრული ურთიერთობის განმტკიცებას.

ბოლოს, ჩვენ მტკიცედ ვიყავით დარწმუნებული, რომ ჩვენი მოგზაურობა ინდოეთში, ბირმასა და ავღანეთში კიდევ უფრო განამტკიცებს მშვიდობის პოზიციებს მთელ მსოფლიოში, შეასუსტებს ომის მომხრეთა ბანაკს. მარტო ეს გარემოებაც კი, თავისთავად, აუცილებლად საჭიროს ხდიდა ჩვენს მოგზაურობას, რადგან მშვიდობის საქმე ის დიადი საქმეა, რომელიც გამოხატავს მთელი კაცობრიობის ყველაზე დიდ სურვილს.

ახლა ჩვენ შეგვიძლია ვთქვათ, რომ ის დიდი იმედები, რომლებსაც ამ მოგზაურობაზე ამყარებდნენ, სავსებით გამართლდა. **(ხანგრძლივი ტაში).**

ამხანაგო დეპუტატებო!

არ შევაჩერებ თქვენს ყურადღებას საუბრით ჩემს შთაბეჭდილებებზე ინდოეთში, ბირმასა და ავღანეთში მოგზაურობის შესახებ, რადგან ამას ძალიან ბევრი დრო დასჭირდებოდა. ვიტყვი ერთს — ეს შთაბეჭდილებანი განსაკუთრებით ძლიერი და ამაღელვებელია. ისინი დაუვიწყარია. და ყველაზე ძლიერი შთაბეჭდილებაა ხალხთან შეხვედრის შთაბეჭდილება.

ჩვენ მოველოდით, რომ ინდოეთში შევხვდებოდით გულთბილ მიღებას როგორც ხელმძღვანელ მოღვაწეთა მხრივ, ისე ხალხის მხრივ. მაგრამ იმან, რაც ჩვენ იქ ყოფნის პირველი წუთებიდანვე ვიგრძენით, ყველა ჩვენს მოლოდინს გადააჭარბა.

როგორც ინდოეთის რესპუბლიკის დედაქალაქ დელში, ისე ინდოეთის ყველა სხვა შტატსა და ქალაქში ჩვენ გვხვდებოდნენ ასეულ ათასობით, მილიონობით ადამიანები, და ეს იყო განსაკუთრებით გულითადი შეხვედრები, რომლებიც გამოხატავდნენ ინდოეთის ხალხების მხურვალე სიყვარულს საბჭოთა კავშირის ხალხებისადმი.

სადაც უნდა გამოვჩენილიყავით, გარს გვეხვეოდნენ მეგობრები, გამარჯვებას უსურვებდნენ ინდოეთისა და საბჭოთა კავშირის მარადიულ და ურღვევ მეგობრობას. როგორც ერთსულოვან ოჯახში შეხვდებიან საყვარელ ძმას, ისე ინდოეთის ხალხთა დიდ ოჯახში გულთბილად და გულითადად გვხვდებოდნენ ჩვენ, დიდი საბჭოთა ხალხის წარგზავნილებს. **(ხანგრძლივი ტაში).**

ასევე გულითადად მიგვიღეს ბირმის ხალხებმა, პრემიერ-მინისტრმა უ ნუმ და ბირმის კავშირის სხვა ხელმძღვანელებმა. ასევე გულთბილად მიგვიღეს ჩვენ ავღანეთში როგორც ხალხმა, ისე პრემიერ-მინისტრმა ბატონმა მუჰამედ დაუდმა და ავღანეთის სხვა ხელმძღვანელებმა.

რა თქმა უნდა, ჩვენ სრულიადაც არ ვფიქრობდით, რომ აღტაცებისა და უაღრესად მხურვალე სიყვარულის გამოხატულება, რასაც ინდოეთის, ბირმისა და ავღანეთის ხალხები იჩენდნენ ჩვენდამი, მომართული იყო პირადად ჩვენდამი. ჩვენ ეს მიგვაჩნდა საბჭოთა კავშირის ხალხებისადმი ჩვენი მეგობარი ქვეყნების ხალხთა უსაზღვრო სიყვარულისა და პატივისცემის გამოხატულებად.

ჩვენ ეს მიგვაჩნდა იმად, რომ ინდოეთის, ბირმისა და ავღანეთის ხალხები გულწრფელად აღიარებენ საბჭოთა კავშირის ხალხების ისტორიულ დამსახურებას მთელ მსოფლიოში მშვიდობისათვის, მთელი კაცობრიობის ნათელი მომავლისათვის ბრძოლაში. **(მქუხარე ტაში).**

ინდოეთში, ბირმასა და ავღანეთში ყოფნისას ჩვენ ფართოდ გავუზიარეთ აზრები ამ ქვეყნების მთავრობებს საერთაშორისო პოლიტიკის მთელ რიგ უმნიშვნელოვანეს საკითხებზე. და ყველგან ვხვდებოდით საერთო ურთიერთგაგებას ყველა საკითხში, რომელსაც განვიხილავდით. ჩვენ კი უმთავრესად განვიხილავდით სხვადასხვა სოციალური სისტემების მქონე ქვეყნების მშვიდობიანი თანაარსებობის საკითხებს, ჩვენს ქვეყნებს შორის ეკონომიური და კულტურული ურთიერთობის შემდგომი განვითარების საკითხებს.

საუბრების მსვლელობაში თავს იჩენდა ჩვენი შეხედულებების ერთიანობა და სწრაფად ვპოულობდით ურთიერთ მისაღებ გადაწყვეტილებებს ამ საკითხებში და საჭირო ფორმულირებებს ერთობლივი განცხადებებისა და შეთანხმებებისათვის.

ასე იყო ინდოეთში, ასე იყო ბირმაში, ასე იყო ავღანეთშიც. ძალიან სასიამოვნოა ამის აღნიშვნა.

განა ეს არ მოწმობს, რომ თუ არსებობს ქვეყნების ხელმძღვანელთა კეთილი ნება და პატიოსანი განზრახვა, შეიძლება და საჭიროა მშვიდობიანი გზით გადაიჭრას ქვეყნების ურთიერთობის ყველა საკითხი, მიუხედავად საზოგადოებრივი სისტემების განსხვავებისა?

ხომ არის ისეთი საერთო საკითხები, რომელთა გადაჭრა სავსებით უდავო და ურთიერთ მისაღებია, რითაც ერთნაირად დაინტერესებულია ყველა ხალხი, მიუხედავად იმისა, სოციალისტურ ქვეყნებში ცხოვრობენ ისინი თუ კაპიტალისტურ ქვეყნებში. ამ საკითხების გადაჭრაში ჩვენ შეგვიძლია წარმატებით ვითანამშრომლოთ.

ამის ყველაზე თვალსაჩინო და დამაჯერებელი მაგალითია საბჭოთა კავშირისა და ინდოეთის ურთიერთობა. საბჭოთა კავშირისა და ინდოეთის საზოგადოებრივი და სახელმწიფოებრივი სისტემები განსხვავდება ერთიმეორისაგან. ჩვენ და ინდოეთის ხელმძღვანელებს სხვადასხვა თვალსაზრისი გვაქვს მთელ რიგ საკითხებში. არც ჩვენ, არც ჩვენი მეგობრები — ინდოეთის სახელმწიფოს ხელმძღვანელები — არ ვმალავთ ამას.

მაგრამ ეს ხელს არ გვიშლის ჩვენ და ჩვენს ინდოელ მეგობრებს დავიცვათ მშვიდობიანი თანაარსებობის ხუთი პრინციპი, რომლებიც საფუძვლად დავუდეთ ჩვენს ურთიერთობას სხვა ქვეყნებთან, დავიცვათ და განვავითაროთ მეგობრული ურთიერთობა საბჭოთა კავშირსა და ინდოეთს შორის. ჩვენს ქვეყნებს შორის კეთილმეზობლური და მეგობრული ურთიერთობა ძლიერდება და ვითარდება.

ამავე მიმართულებით ვითარდება ჩვენი ურთიერთობა ბირმის კავშირთან და ავღანეთთან, ჩვენს ძველ მეგობართან და კეთილ მეზობელთან.

ინდოეთში, ბირმასა და ავღანეთში ჩვენი მოგზაურობის შედეგად საბჭოთა კავშირსა და ამ ქვეყნებს შორის დაიდო ურთიერთ ხელსაყრელი ეკონომიური შეთანხმებანი, რომლებიც ემსახურებიან საბჭოთა კავშირის, ინდოეთის, ბირმისა და ავღანეთის ინტერესებს.

ისეთი სახელმწიფოების სახით, როგორიც არიან ინდოეთის რესპუბლიკა, ბირმის კავშირი და ავღანეთი, ჩვენ ვხედავთ თანასწორუფლებიან პარტნიორებს მთელი მსოფლიოს მშვიდობისათვის ბრძოლაში. ჩვენსა და იმ ქვეყნების ხელმძღვანელთა შორის, რომლებშიც ჩვენ ვიყავით, არ არის ორი სხვადასხვა აზრი მშვიდობისათვის ბრძოლის საკითხებში. ეს საკითხები კი მთავარია და მათი გადაჭრით სასიცოცხლოდ დაინტერესებულია მთელი კაცობრიობა.

მშვიდობის ყველა მეგობარზე კარგი შთაბეჭდილება მოახდინა ჩვენმა მოგზაურობამ ინდოეთში, ბირმასა და ავღანეთში და საბჭოთა კავშირ-ინდოეთის, საბჭოთა კავშირ-ბირმისა და საბჭოთა კავშირ-ავღანეთის მოლაპარაკების შედეგებმა.

მაგრამ ჩვენმა მოგზაურობამ გამოიწვია ზოგიერთ ქვეყანაში ცალკეული პირების, მათ შორის ოფიციალური პირების წყრომა და აშკარა მტრობაც კი, გამოიწვია გაბოროტებული გამოხდომები ჩვენს წინააღმდეგ.

უმთავრესად ეს შესამჩნევია ინგლისსა და ამერიკის შეერთებულ შტატებში. ზოგიერთი გამომახალი ანუ, უფრო სწორად რომ ვთქვათ, მოძახილი იყო სხვა ქვეყნებშიც, მაგალითად, კანადაში, სადაც არაშორსმჭვრეტელი განცხადება გააკეთა საგარეო საქმეთა მინისტრმა ბატონმა პირსონმა.

რით არის ეს გამოწვეული?

ჩვენ გვგმობდნენ, ჭკუას გვასწავლიდნენ, სხვადასხვა სახის ზეშოქმედებას იყენებდნენ ჩვენს მიმართ იმისათვის, რომ ჩვენ, მათი თვალსაზრისით, სწორად არ გამოვედით კოლონიზატორების წინააღმდეგ, რომ მკვეთრად დავგმეთ იმპერიალისტების მიერ კოლონიური და დამოკიდებული ქვეყნების ხალხთა ჩაგვრისა და ძარცვის ეს ფორმა. რა ვთქვით ჩვენ ახალი კოლონიზატორებსა და კოლონიურ რეჟიმებზე, რატომ გამოიწვია ჩვენმა ნათქვამმა ასეთი გაფთრება კოლონიზატორებში და მათს ადვოკატებში? ჩვენ ხომ ყველასათვის ცნობილი და უდავო მონაცემები მოვიყვანეთ.

მაგალითად, ხომ ფაქტია ეს, რომ ინგლისელი კოლონიზატორები, — არა ხალხი, არამედ სწორედ კოლონიზატორები! — ბატონობდნენ ინდოეთში თითქმის ორ საუკუნეს, რომ ისინი დიდხანს ჩაგრავდნენ ბირმისა და ავღანეთის ხალხებს.

რა მოჰყვა ამას?

ნებას მივცემ თავს და დავიმოწმებ ამ საკითხის ისეთ ავტორიტეტულ მცოდნეს, როგორიც არის ინდოეთის ყველას მიერ პატივცემული პრემიერ-მინისტრი ბატონი ჯავაჰარლალ ნერუ.

თავის წიგნში „ინდოეთის აღმოჩენა“ იგი ხაზგასმით აღნიშნავს, რომ „ყველაზე თვალსაჩინო ფაქტია ინგლისის ბატონობის უნაყოფობა ინდოეთში და ის, რომ ამ ბატონობამ დაანგრია ინდოეთის ცხოვრება. უცხოელთა ხელისუფლება, — წერს ნერუ, — აუცილებლად მოსწყდება იმ ხალხის შემოქმედებითი ენერგიის წყაროებს, რომელზეც იგი გაბატონებულია. როცა ამ უცხოელთა ხელისუფლების ეკონომიური და კულტურული ცენტრი ძალიან დაშორებულია დამონებულ ქვეყანას და როცა, გარდა ამისა, ეს ხელისუფლება რასიზმს ემყარება, ეს მოწყვეტა სრული ხდება და მას მოჰყვება დამონებული ხალხების სულიერი და კულტურული სიღატაკე“.

ახასიათებს რა ინდოეთში ინგლისის ბატონობის შედეგებს, ბატონი ნერუ აღნიშნავს, თუ რა საშინელი შიმშილი მოედო ინდოეთს მეორე მსოფლიო ომის დროს. იგი წერს:

„თვალწინ წარმოგვიდგა სიღატაკის და ინგლისის ბატონობის სიმახინჯის სურათი. ასეთი იყო ინდოეთში ინგლისის ბატონობის კულმინაციური პუნქტი და საბოლოო შედეგი. შიმშილი გამოიწვია არა სტიქიურმა უბედურებამ, არა ბუნების ძალების თამაშმა და არა საომარმა ოპერაციებმა და მტრის ბლოკადამ. ყოველი კომპეტენტური მეთვალყურე დაგვეთანხმება, რომ შიმშილი ადამიანის მოქმედების შედეგი იყო, რომ შეიძლებოდა შიმშილის გათვალისწინება და თავიდან აცილება“.

ამას შეიძლება დაემატოს, რომ წიგნის „ინდოეთის სასურსათო პრობლემის“ ავტორის ინდოელი ეკონომისტის სინგის მონაცემებით მარტო მე-19 საუკუნის უკანასკნელ მეოთხედში ინდოეთმა 18-ჯერ განიცადა შიმშილი; ამ ხნის განმავლობაში შიმშილით დაიხოცა 26 მილიონი კაცი. მეოცე საუკუნეში შიმშილობის მასშტაბი კიდევ უფრო გაიზარდა. მარტო 1943 წელს ინდოეთში შიმშილით დაიხოცა სამ მილიონ ნახევარი კაცი.

ასეთია ფაქტები. ეს ფაქტები კოლონიზატორთა სასარგებლოდ როდი მეტყველებენ.

ასეთივე ტრაგიკული იყო ბირმელი ხალხის ბედი, ხალხისა, რომელმაც აგრეთვე განიცადა ინგლისელ კოლონიზატორთა ბატონობა. ჯერ კიდევ 1824 წელს ინგლისმა დაიწყო შეიარაღებული ბრძოლა ბირმის დასაპყრობად, რაც დამთავრდა 1885 წელს ამ ქვეყნის სრული ოკუპაციით. ბირმას განაგებდა ინგლისის მიერ დანიშნული გენერალ-გუბერნატორი, რომელსაც შეუზღუდავი უფლებები ჰქონდა.

მეორე მსოფლიო ომის დროს ბირმა ოკუპირებულ იქნა იაპონიის მიერ. იაპონიის კაპიტულაციის შემდეგ 1945

(გაგრძელება მე-2 გვერდზე)

ამხანაგ ნ. ს. ხრუშჩოვის სიტყვის გაგრძელება

წელს ინგლისის კოლონიური ხელისუფალნი კვლავ დაბრუნდნენ ბირმაში და ცდილობდნენ აღედგინათ თავიანთი ბატონობა. მაგრამ ბირმის პატრიოტულმა ძალებმა, რომლებიც გაიზარდნენ იაპონიის ოკუპაციის წინააღმდეგ ბრძოლაში, მტკიცე წინააღმდეგობა გაუწიეს მათ. 1948 წლის იანვარში ინგლისელი იმპერიალისტები იძულებული გახდნენ დამოუკიდებლობა მიენიჭებინათ ბირმისათვის.

ინდოეთის ხალხებს, ისევე როგორც ბირმისა და ავღანეთის ხალხებს, კოლონიზატორები არ მიუწვევიათ ამ ქვეყნების საძარცვავად. კოლონიზატორებმა თავიანთი ბატონობა ამ ქვეყნებში დაამყარეს დაპყრობითი და მძარცველური ომების შედეგად. ინდოეთისა და ბირმის ტერიტორიები უდაბური მიწები კი არ იყო, როცა იქ კოლონიზატორები შეიჭრნენ, ამ ქვეყნებში სახლობდნენ ხალხები, რომლებსაც აქვთ საკუთარი მაღალი კულტურა. ცნობილია, რომ, მაგალითად, ინდოეთის ხალხთა კულტურა თავისი დონით არ ჩამოუვარდებოდა ევროპის ქვეყნების, მათ შორის აგრეთვე ინგლისის კულტურას. მაგრამ ინდოეთი სამხედრო თვალსაზრისით სუსტი ქვეყანა იყო, იგი უფრო ცუდად იყო შეიარაღებული. მარტო ამიტომ გახდა იგი კოლონიზატორთა მსხვერპლი.

ახლა კოლონიური რეჟიმის ზოგიერთი დამცველი ამბობს:

— კი მაგრამ, ჩვენ ხომ ნებაყოფლობით მივანიჭეთ ინდოეთს თავისუფლება.

მაგრამ ეს, რბილად რომ ვთქვათ, საკმაოდ პირობითი გამოსახვაა იმისა, თუ როგორ და რატომ წავიდნენ კოლონიზატორები ინდოეთიდან, დათანხმდნენ, რომ ინდოეთი ყოფილიყო დამოუკიდებელი რესპუბლიკა.

ისინი იძულებული გახდნენ დათანხმებულიყვნენ ამაზე იმიტომ, რომ მათ სხვა გამოსავალი არ ჰქონდათ. ისინი რომ ცდილიყვნენ კიდევ დარჩენილიყვნენ ინდოეთში, უდიდესი ზარალი მოუვიდოდათ, ბოლოს მაინც განდევნიდა მათ ინდოელი ხალხი, ისევე როგორც ჩინელმა ხალხმა განდევნა ჩინეთიდან ყველა ჯურისა და ელფერის კოლონიზატორები, ხოლო მათთან ერთად ჩან კაი-შის გამცემლური ხროვა. **(მქუხარე ტაში).**

ზოგჯერ კოლონიზატორებს უყვართ იმის თქმა, რომ თითქოს მათ დიდი ისტორიული როლი ეკუთვნოდეთ ცივილიზაციის გავრცელებაში. ეს ზღაპრები ნავარაუდევია გულუბრყვილო ან მტად მიმნდობელი ადამიანებისათვის, რომლებმაც ისტორია არ იციან.

იქნებ ინგლისელმა კოლონიზატორებმა მართლაც აამაღლეს ხალხის მასების კულტურა მათ მიერ დაპყრობილ ქვეყნებში, დაეხმარნენ ამ ქვეყნებს შეექმნათ საკუთარი მრეწველობა, განევითარებინათ მეცნიერება, გაეუმჯობესებინათ ხალხის კეთილდღეობა?

არა, ეს მძარცველები იყვნენ ამ სიტყვის სრული მნიშვნელობით. ისინი ძარცვავდნენ ამ ქვეყნებს და დიდად შეაფერხეს მათი განვითარება. მაგონდება, ბომბეიში, როცა მერძევეობის ფერმას ვეწვიეთ, ბომბეის შტატის მთავარმა მინისტრმა ბატონმა დესაიმ გულისტკივილით თქვა:

— ყველაფერი გაჭარწყლდა ინგლისელთა ბატონობის წლებში. ამ 200 წელიწადში ჩვენ თითქმის ბარბაროსები გავხდით.

ინდოეთის, ბირმისა და სხვა იმ ქვეყნების ხალხებს, სადაც კოლონიზატორები პარპაშებდნენ, საკმაოდ დიდ ღონისძიებათა განხორციელება დასჭირდებათ, რათა აღმოფხვრან კოლონიზატორთა ბატონობის საშინელი შედეგები.

ეს ხომ ფაქტია, რომ ჯერ კიდევ ცოტა ხნის წინათ ინდოეთის მოსახლეობის 80 პროცენტზე მეტი და ბირმის მოსახლეობის 63 პროცენტი წერაკითხვის უცოდინარი იყო.

ესეც ხომ ფაქტია, რომ ინდოეთის მოსახლეობის ცხოვრების დონე, ინდოეთისა, რომლის ექსპლოატაციამაც პირდაპირ ოქროში ჩასვა ინგლისელი კაპიტალისტები, ინგლისის მოსახლეობის ცხოვრების დონეზე მნიშვნელოვნად დაბალია. იგივე შეეხება ბირმასა და სხვა ქვეყნებს, სადაც დიდხანს პარპაშებდნენ კოლონიზატორები.

— კი მაგრამ, — გვეტყვიან კოლონიური სისტემის დამცველები, — ეს ქვეყნები ხომ ბრიტანეთის იმპერიის შემადგენლობაში იყვნენ და თითქმის ინგლისის თანასწორუფლებიან მდგომარეობაში იმყოფებოდნენ.

მაგრამ სად არის იგი, ეს თანასწორობა?

ჩვენ ვერ აღმოვაჩინეთ მისი ვერავითარი კვალი. ჩვენ ვხედავდით, რომ ინგლისელ კოლონიზატორებს თავიანთი ბატონობის დროს როგორც ინდოეთში, ისე ბირმაში მშვენიერი სასახლეები აუგიათ თავისთვის.

კოლონიზატორებმა შექმნეს პირობები ერთი მუჭა ფეოდალებისათვის, რომლებიც მათ მიეხრნენ და მხარს უჭერდნენ. მაგრამ მრავალმილიონიანი ინდოელი ხალხი ჩაყენებული იყო უუფლებო მდგომარეობაში და მას ულმობელ ექსპლოატაციას უწევდნენ.

ბუნებრივია, რომ ინდოელი ხალხი ვერ შეურიგდებოდა ასეთ მდგომარეობას. ინდოელმა ხალხმა, ყველა მისმა მებრძოლმა ინდოეთში კოლონიზატორთა ბატონობის წინააღმდეგ ისეთ გამოჩენილ ადამიანთა მეთაურობით, როგორც განდი, ნერუ, და სხვა ხელმძღვანელთა მეთაურობით დიდი როლი შეასრულეს იმაში, რომ ინდოეთს პოლიტიკური დამოუკიდებლობა მოეპოვებინა. და ჩვენ, რასაკვირველია, თანაგრძნობით ვეკიდებოდით მათს ბრძოლას, გვანარებდა მათი წარმატებანი და ჯეროვნად ვაფასებთ მამაცობას, რაც მათ ამ ბრძოლაში გამოიჩინეს. **(ხანგრძლივი ტაში).**

ახლა გვეუბნებიან, რომ გამოვდიოდართ რა კოლონიზატორთა წინააღმდეგ, ვამხილებთ რა მათს მძარცველურ პოლიტიკას, ჩვენ რაღაც მტრობა გამოვიჩინეთ ინგლისისა და სხვა ქვეყნების მიმართ, თუმცა ეს სხვა ქვეყნები არ დაგვისახელებია, ინგლისიც არც ისე ხშირად გვიხსენებია. **(გამოცოცხლება დარბაზში).** მაგრამ ჩვენ კეკმალულობის თამაშს არ ვაპირებთ. ჩვენ, ისევე როგორც მთელმა მსოფლიომ, ვიცით, ვინ იყო კოლონიზატორი ინდოეთში, ბირმასა და ავღანეთში.

დიახ, ვლაპარაკობდით რა კოლონიზატორთა უკეთურ როლზე, მხედველობაში გვყავდა ინგლისელი კოლონიზატორებიც. მაგრამ კოლონიზატორები ხომ ინგლისი და ინგლისელი ხალხი არ არის. ინგლისელი კოლონიზატორები ვერასოდეს ვერ მიიღებენ იმის უფლებას, რომ გააიგივეონ თავიანთი თავი ინგლისის ხალხთან.

ჩვენს გამოსვლებში ისეთი არაფერი ყოფილა, რაც რაიმე შეურაცხყოფას მიაყენებდა ინგლისს ან ინგლისელ ხალხს. ჩვენ დიდ პატივს ვცემთ ნიჭიერ და შრომისმოყვარე ინგლისელ ხალხს და გვინდა მასთან მეგობრობა. **(ხანგრძლივი ტაში).**

ჩვენ არაფერი შეურაცხმყოფელი ან საწყენი არ გვითქვამს არც ინგლისის მთავრობის შესახებ. მაგრამ ჩვენ ვგმობდით და ვგმობთ კოლონიურ სისტემას და მიგვაჩნია, რომ რაც უფრო მალე მოეღება მას ბოლო, მით უკეთესია, რადგან ეს უაღრესად უსამართლო, კაცთმოძულეობის სისტემაა. რაც უფრო მალე განთავისუფლდებიან მისგან კოლონიური ქვეყნების ხალხები, მით უკეთესი იქნება. ჩვენ იმათი ყველაზე გულწრფელი მეგობრები ვართ, ვინც იბრძვის კოლონიური მონობისა და კოლონიური დამოკიდებულების წინააღმდეგ. **(ტაში).** ჩვენ გაგვახარებს და მივესალმებით კოლონიური რეჟიმების მოსპობას. ვფიქრობ, ინგლისელი ხალხის უმრავლესობაც მიესალმება ამას. **(ტაში).**

კოლონიურ და დამოკიდებულ ქვეყნებში კოლონიზატორთა დაუსჯელი პარპაშის დრო წარსულს ბარდება. მაგრამ თვითონ კოლონიზატორები, რა თქმა უნდა, არ მოისურვებენ ნებაყოფლობით დათმონ ის სისტემა, რომელიც მათ შესაძლებლობას აძლევს ძარცვონ მთელი ხალხები. ამის იმედი არ უნდა ვიქონიოთ.

ჩვენი გამოსვლებითა და მოქმედებით გვსურს გამოვხატოთ ჩვენი სიმპათია და თანაგრძნობა იმ ხალხებისადმი, რომლებიც ჯერ არ განთავისუფლებულან კოლონიური ჩაგვრისაგან, მათი ბრძოლისადმი ეროვნული განთავისუფლებისათვის. **(ხანგრძლივი ტაში).**

ჩვენ გვესმის, რომ კოლონიზატორები ჩვენზე ნაწყენი არიან არა იმიტომ, რომ ჩვენს გამოსვლებში დაგმობილია კოლონიზატორთა წარსული საქმიანობა ინდოეთსა და ბირმაში.

ცდილობენ რა რამენაირად გაამართლონ კოლონიური და დამოკიდებულ ქვეყნებში ხალხთა ჩაგვრის თავიანთ წინამორბედთა საქმიანობა, ისინი ესწრაფვიან შეინარჩუნონ კოლონიზატორთა ახლანდელი პოზიციები, რომლებიც ჯერ კიდევ ძლიერია. კოლონიზატორებს ხომ ახლაც ბევრი კოლონია აქვთ.

ავიღოთ თუნდაც აფრიკა. იგი მთლიანად დაყოფილია ევროპისა და არა ევროპის ქვეყნებს შორის. არსებობს კოლონიზატორული პოლიტიკის განხორციელების სხვადასხვა ფორმა, სხვადასხვა ხერხი, მაგრამ ამით კოლონიური მონობის ბორკილი უფრო მსუბუქი როდი ხდება. ეს ბორკილი სულს უხუთავს კოლონიური და დამოკიდებული ქვეყნების ხალხებს, იწვევს მათს სიძულვილს კოლონიზატორებისადმი.

ამ ქვეყნების ხალხები სულ უფრო მტკიცედ ირაზმებიან კოლონიური რეჟიმების წინააღმდეგ საბრძოლველად. და ჩვენ თანაგუგრძნობთ ამ ბრძოლას და წარმატებას ვუსურვებთ ხალხებს, რომლებიც მას ეწევიან. **(მქუხარე ტაში).**

პირდაპირ საკვირველია, როცა ზოგიერთი არაშორსმჭვრეტელი მოღვაწე გვაბრალებს მტრობას ინგლისის ან ამერიკის შეერთებული შტატების მიმართ, ამბობს, თითქოს ჩვენ გვსურს ეს ქვეყნები წავაჩხუბოთ ინდოეთს, ბირმასა და სხვა ქვეყნებს. ისინი თვითონ ახორციელებენ მტრულ აქტებს ამ ქვეყნების წინააღმდეგ.

მაგალითად, როგორ უნდა მოეპყროს ინდოეთი ისეთ განცხადებას, რომელიც გააკეთეს ბატონმა დალესმა და პორტუგალიის საგარეო საქმეთა მინისტრმა ბატონმა კუნიამ გოას შესახებ?

ჩაუფიქრდით, რა თქვა დალესმა: მან ნება მისცა თავის თავს აშკარად განეცხადებინა, რომ ინდოეთის ტერიტორია გოა პორტუგალიას უნდა ეკუთვნოდეს მხოლოდ იმიტომ, რომ პორტუგალელმა დამპყრობლებმა იგი დაიპყრეს 400 წლის წინათ.

ამის გამო ინდოეთის პრესამ სამართლიანად მოაგონა ბატონ დალესს, რომ 250 წლის წინათ ანლანდელი ამერიკის შეერთებული შტატები ინგლისს კოლონია იყო და რომ თუ მის ლოგიკას გაიყვებით, მან, დალესმა, ახლაც უნდა მიიჩნიოს თავი მისი უდიდებულესობის დიდი ბრიტანეთის დედოფლის ქვეშევრდომად. **(სიცილი დარბაზში. ტაში).**

ბატონ დალესის განცხადებას რომ დავეთანხმოთ, ეს იმას ნიშნავს, რომ არა მარტო ვაკურთხოთ, არაშედ სამუდამოდაც დავამკვიდროთ კოლონიური ჩაგვრის სისტემა.

რა თქმა უნდა, ჩვენ ვერ დავეთანხმებით ამას. ჩვენ მიგვაჩნია, რომ ეს არასწორი განცხადებაა, რომელიც გამომდინარეობს ხალხების ინტერესებისადმი არასწორი დამოკიდებულებიდან. ინდოელმა ხალხმა, ინდოეთის ხელმძღვანელმა მოღვაწეებმა ჯეროვნად შეაფასეს დალეს-კუნიას ერთობლივი კომუნიკე. გოას შესახებ, რომელიც სამარცხვინოა ცივილიზებული სახელმწიფოებისათვის.

ამასთან დაკავშირებით ნება მიბოძეთ რამდენიმე სიტყვა ვთქვა მეორე საკითხზეც, რომელიც სამართლიანად აღელვებს ინდოელ ხალხს, — ეგრეთწოდებულ ქაშმირის საკითხზე. ნიკოლოზ ალექსანდრეს-ძე ბულგანინმა და მე ქაშმირში ყოფნის დროს ნათლად და გარკვევით ვთქვით, თუ რას ფიქრობენ საბჭოთა ადამიანები ამ საკითხის გამო, რომელიც ხალხში კი არ წარმოიშვა, არამედ ხელოვნურად გაღვიძეს გარკვეულმა სახელმწიფოებმა, რომლებიც ცდილობენ მტრობა ჩამოაგდონ ხალხებს შორის.

ქაშმირში ჩვენ დავრწმუნდით, რომ მის ხალხს თავისი ტერიტორია მიაჩნია ინდოეთის რესპუბლიკის განუყოფელ ნაწილად. ქაშმირელმა ხალხმა ეს საკითხი საბოლოოდ გადაწყვიტა, და ჩვენ ღრმად ვართ დარწმუნებული, რომ ქაშმირელები ბოლომდე მოაგვარებენ თავიანთ საქმეს გარედან ჩაურევლად, მიუხედავად იმისა, მოსწონთ თუ არა ეს იმათ, ვისაც სურს შექმნას ქაშმირში შფოთისა და საერთაშორისო უთანხმოების კერა. **(ტაში).**

ინდოელი ხალხისა და მისი მთავრობის ზრუნვა თავისი სახელმწიფოს კონსოლიდაციისათვის და ინდოეთის რესპუბლიკის მოსახლე ყველა ეროვნების კანონიერ მისწრაფებათა დაკმაყოფილებისათვის მსხლობელი და გასაგებია საბჭოთა ადამიანებისათვის ისევე, როგორც მახლობელი და გასაგებია ჩვენთვის ყველა ხალხის მისწრაფება, რომლებიც იბრძვიან თავიანთი ეროვნული დამოუკიდებლობისათვის.

ჩვენს გამოსვლებში ინდოეთსა და ბირმაში ვამბობდით, რომ ჩვენი ქვეყანა ერთსა და იმავე დროს ევროპისა და აზიის ქვეყანაა, რომ მისი ტერიტორიის დიდი ნაწილი აზიის კონტინენტზე მდებარეობს. ამასთან ჩვენ ხაზგასმით აღვნიშნავდით, რომ საბჭოთა კავშირის ყველა ხალხი, მიუხედავად იმისა, ცხოვრობს ჩვენი ქვეყნის ევროპის თუ აზიის ნაწილში, მიუხედავად კანის ფერისა და სარწმუნოებისა, შეადგენს ხალხთა ერთიან ძმურ ოჯახს, რომელიც ძლიერია თავისი ურღვევი მეგობრობით. ჩვენი ქვეყნის ყველა ხალხი გაერთიანებულია კომუნიზმის მშენებლობის დიადი მიზნით. **(მქუხარე ტაში).**

საბჭოთა კავშირი დიდი მრავალეროვანი სახელმწიფოა, რომელშიც შედის 16 თანასწორუფლებიანი, ნებაყოფლობით გაერთიანებული მოკავშირე რესპუბლიკა. მთელი ძალაუფლება ჩვენს ქვეყანაში ეკუთვნის მუშათა კლასს, მშრომელ გლეხობას, ინტელიგენციას — საბჭოთა საზოგადოების მშრომელებს.

ჩვენ მუდამ ვიღაშქრებდით ეროვნული ჩაგვრის წინააღმდეგ, ადამიანის მიერ ადამიანის ექსპლოატაციის წინააღმდეგ, რა ფორმითაც უნდა იჩენდეს ეს თავს, და მით უმეტეს კოლონიზატორთა ბატონობის წინააღმდეგ, რომლებმაც ამდენი უბედურება მოუტანეს კაცობრიობას. ამის შესახებ ჩვენ ერთხელ კიდევ მთელი პირდაპირობითა და გულახდილობით ვთქვით ჩვენს გამოსვლებში ინდოეთსა და ბირმაში, ამასთან ხაზგასმით აღვნიშნეთ, რომ კოლონიური სისტემა ანტიხალხური და უაღრესად უსამართლო სისტემაა.

მაშ რატომ აფორიაქდნენ ასე ახლა კოლონიზატორები?

ისინი აფორიაქდნენ იმიტომ, რომ ჩვენმა სიტყვებმა ხალხის მასების უდიდესი თანაგრძნობა გამოიწვია. და არა მარტო იქ, სადაც ჩვენ გამოვდიოდით, არამედ იქაც, სადაც მოისმინეს ჩვენი გამოსვლები და სადაც კიდევ არაერთხელ მოისმენენ საბჭოთა კავშირის ურყევი პოზიციის შესახებ, რომელიც გმობს ხალხთა ჩაგვრისა და დამონების კოლონიურ სისტემას. **(მქუხარე ტაში).**

ეს სიმართლის სიტყვებია და იმპერიალისტები ვერავითარი რკინის ფარდით ვერ დაიკავებენ მათ.

უნდა აღინიშნოს, რომ დალესის პოზიციას გმობენ არა მარტო კოლონიალიზმის მოწინააღმდეგენი, არამედ ისინიც, ვინც კოლონიური რეჟიმის მოწინააღმდეგე არ არის. შეიძლება დავიმოწმოთ თუნდაც ამერიკელი სენატორის კეფოვერის გამოსვლა.

„უწინარეს ყოვლისა, — ამბობს ეს სენატორი, — შეერთებული შტატები მთლიანად უნდა გაემიჯნონ ძველმოდური კოლონიალიზმს აზიაში“.

ყურადღება მიაქციეთ იმას, რომ ბატონი კეფოვერი მოუწოდებს უარი თქვან არა საერთოდ კოლონიალიზმზე, არამედ „ძველმოდურ“ კოლონიალიზმზე. **(სიცილი, გამოცოცხლება დარბაზში).**

მას სურს, რომ კოლონიზატორებმა გამოძებნონ ახალი ფორმები თავიანთი კოლონიური ბატონობის გასამტკიცებლად, მოითხოვს „ახალმოდურ“ კოლონიალიზმს.

ამიტომ იგი მოუწოდებს: „ჩვენ არ უნდა დავუშვათ, რომ ჩვენი დახმარება გამოიყენონ ცუდი მთავრობების მხარდასაჭერად“.

ეს ძალიან საგულისხმო აღიარებაა.

კოლონიზატორები ხედავენ, თუ რა მტკიცედ ირაზმებიან ხალხები კოლონიური მონობის წინააღმდეგ. ისინი ხედავენ, რომ ხალხები მზად არიან თავგანწირვისათვის, გაბედული გმირობისათვის, თავდადებული ბრძოლისათვის, რათა მოიპოვონ თავიანთი ქვეყნებისთავისუფლება და ეროვნული დამოუკიდებლობა. მთელი რიგი ქვეყნებიდან ხალხებმა უკვე გაიძევეს კოლონიზატორები.

კოლონიური და დამოკიდებული ქვეყნების ყველა ხალხისათვის შთამაგონებელი მაგალითია ბრძოლა დიდი ჩინელი ხალხისა, რომელმაც მოიშორა უცხოელთა უღელი, საკუთარ ხელში აიღო თავისი ბედი, სახელოვანი კომუნისტური პარტიის ხელმძღვანელობით შექმნა მძლავრი ჩინეთის სახალხო რესპუბლიკა და ახლა წარმატებით აშენებს სოციალიზმს. **(მქუხარე, ხანგრძლივი ტაში).**

ახლა კოლონიზატორებმა გადაწყვიტეს შეცვალონ თავიანთი კოლონიური ბატონობის ფორმები. ისინი სულ უფრო ფშვიათად იყენებენ ძალადობის ისეთ უხეშ ფორმებს, როგორიც არის კოლონიურ ქვეყნებში თავიანთი ჯარების გაგზავნა და დამონებული ქვეყნების საქმეებში უხეში ჩარევის სხვა აქტები.

ისინი ახლა ყოველივე ამას უფრო დელიკატურად აკეთებენ: ეწევიან ძალის მქონე ადამიანთა მოსყიდვას, სხამენ „კარგ მთავრობებს“, ქმნიან ბალდადის პაქტის მსგავს აგრესიულ ბლოკებს.

ისინი სახსრებს იძლევიან ეგრეთწოდებული „ეკონომიური დახმარებისათვის“, „უფასოდ“ აძლევენ იარაღს ზოგიერთ ქვეყანას. მაგრამ ამ იარაღის საფასურად სახელმწიფოებმა, რომლებიც მას იღებენ, კოლონიზატორებს უნდა მიაწოდონ საზარბაზნე ხორცი, შექმნან დიდი არმიები და ამით გამოიტონ თავიანთი ხალხები.

კოლონიზატორები „დახმარების“ სახით დოლარს აძლევენ იმ ვარაუდით, რომ შემდეგ ამ დოლარში მიიღონ ათი დოლარი იმ ხალხთა ექსპლოატაციით, რომლებმაც ასეთი „დახმარება“ მიიღეს. აღწევენ რა ამას, ისინი ხალხებს პოლიტიკურადაც იმონებენ. ასეთია კოლონიზატორთა ბატონობის „ახალი“ ფორმები.

და ეს ეხება არა მარტო აზიის, აფრიკის ქვეყნებს ან სხვა ეგრეთწოდებულ სუსტად განვითარებულ ქვეყნებს. ახლა „დახმარების“ ასეთ ფორმებს ამერიკის შეერთებული შტატების მონოპოლისტები გაძლიერებით ნერგავენ ევროპის ქვეყნებში. ნატო-ს ხომ ძლიერ უდის იგივე სუნი.

, რით აიხსნება ამერიკის შეერთებული შტატების ასეთი „გულკეთილობა“, როცა ისინი უფასოდ აძლევენ იარაღს ევროპის ქვეყნებს, მათ შორის დასავლეთ გერმანიასაც, რომელიც თვითონ დიდად განვითარებული ქვეყანაა? ისინი ისახავენ იმავე მიზანს — ოქროს ბორკილით შებოჭონ არა მარტო სუსტად განვითარებული, არამედ აგრეთვე დიდად განვითარებული ქვეყნები.

ვამხილებთ რა ასეთ პოლიტიკას, ჩვენ ვამბობთ, რომ ნატო და სხვა მსგავსი ბლოკები წარმოადგენენ ისეთ ორგანიზაციებს, რომლებიც ისახავენ შორს მიმავალ პოლიტიკურ და ეკონომიურ მიზნებს.

ამბობენ, ნატო შექმნილია იმიტომ, რომ საბჭოთა კავშირი თითქოს ამეღვანებდეს აგრესიას და ამიტომ საჭიროა შეიქმნას ნატო-ში შემავალი სახელმწიფოების რაღაც ზემძლავრი გაერთიანებული არმია და იგი დაუპირისპირდეს საბჭოთა კავშირს და სოციალისტური ბანაკის ყველა ქვეყანას.

ძნელი გასაგები როდია, თუ ვის და რატომ სჭირდება ასეთი სიცრუე. მას მიმართავენ იმისათვის, რომ ჩამოაცილონ ხალხთა მასების ყურადღება ცვლილებებს, რაც ხდება ქვეყნებში, რომლებიც განიცდიან სულ უფრო მეტ დამოკიდებულებას ამერიკის შეერთებული შტატების მონოპოლისტებისაგან.

მაგრამ უკვე ახლა ქარწყლდება მირაჟი, რომელიც ხელოვნურად შეიქმნა, და ადამიანები უკვე არჩევენ, სად არის სიმართლე და სად არის სიცრუე.

ადამიანები უკვე ასე მსჯელობენ: საბჭოთა კავშირს მართლა რომ ჰქონდეს განზრახვა ომით გაუკაფოს გზა ახალ სოციალურ წყობილებას სხვა ქვეყნებში, იგი ამას დიდი ხანია გააკეთებდა.

და მართლაც, ვინ არ იცის, რომ ომის ბოლოს ყველაზე ძლიერი არმია საბჭოთა ქვეყანას ჰყავდა? მაშინ არაფერი არ უშლიდა ხელს საბჭოთა კავშირს, წინ წაეყვანა თავისი მობილიზებული არმიები და დაეკავებინა მთელი ევროპა. მაგრამ ეს არ მოხდა და არც შეიძლებოდა მომხდარიყო.

კარგად ცნობილია მარქსიზმ-ლენინიზმის დებულება, რომ არ შეიძლება რევოლუციების ექსპორტი, რომ რევოლუციებს თვით ხალხები აწყობენ, რომლებიც იბრძვიან თავისი განთავისუფლებისათვის. საბჭოთა ადამიანები მუდამ მიჰყვებოდნენ და კვლავაც გაჰყვებიან დიდი ლენინის მიერ ნაჩვენებ გზას — მშვიდობიანი თანაარსებობის გზას, რომელიც ითვალისწინებს სხვა სახელმწიფოთა საშინაო საქმეებში ჩაურევლობას. **(ხანგრძლივი ტაში).**

მაშ რატომ გააჩაღეს ომის დამთავრების შემდეგ ზოგიერთმა იმპერიალისტურმა წრეებმა ომის ფსიქოზი და ცდილობდნენ დაეშინებინათ ხალხები მოჩვენებითი „საბჭოთა მუქარით“?

ეს მათ გააკეთეს იმიტომ, რომ ისახავდნენ თავიანთ ანგარებითს მიზნებს.

მათი მიზანი ცხადია — იმპერიალისტებს ეს იმისათვის სჭირდებათ, რომ დაუსჯელად ძარცვონ ხალხი, უდიდესი გადასახადებით განავითარონ სამხედრო მრეწველობა, რითაც დაინტერესებული არიან ომისათვის მომუშავე მონოპოლიების მესვეურები.

ამ საქმეზე ისინი უდიდეს კაპიტალს იძენენ. საკმარისია გავიხსენოთ, რომ ამერიკის შეერთებული შტატების მსხვილი მონოპოლიები ახლა სამხედრო პროდუქციის წარმოებით ერთიორად და უფრო მეტ მოგებას იღებენ, ვიდრე ეს ომის დროს იყო.

1955 წელს ამერიკის კორპორაციების მოგება წინასწარი მონაცემებით შეადგენს 43 მილიარდ დოლარს. ასე, რომ მონოპოლისტებს სახსრები აქვთ ეგრეთწოდებული „დახმარების“ გასაწევად იმ ქვეყნებისათვის, რომლებსაც ამერიკის შეერთებული შტატები აბამენ თავიანთი გავლენის სფეროში. არსებითად ეს დახმარება კი არა, ბატონის ნასუფრალია, რომელსაც პირობად უდებენ კაბალურ ვალდებულებებს.

საბჭოთა კავშირი გმობს ასეთ პოლიტიკას. იგი თავის ურთიერთობას სხვა ქვეყნებთან საფუძვლად უდებს თანასწორუფლებიანობასა და ურთიერთსარგებლობას, ჩაურევლობას ამ ქვეყნების საშინაო საქმეებში.

როცა ჩვენ ეკონომიურ ან ტექნიკურ დახმარებას ვუწევთ ამა თუ იმ ქვეყანას, ამას ვაკეთებთ როგორც მეგობრები და თავს არ ვახვევთ ჩვენს პირობებს.

ჩვენ ზედმეტი კაპიტალები არა გვაქვს. ჩვენი მეურნეობა გეგმით წარმოებს. ჩვენ დაინტერესებული არა ვართ კაპიტალის ექსპორტით, ისევე როგორც საქონლის ექსპორტით, რომელსაც იმდენს ვაწარმოებთ, რამდენიც საჭიროა ჩვენი ქვეყნისათვის, ჩვენი მოკავშირეებისათვის და უცხო ქვეყნებთან ვაჭრობის უზრუნველყოფისათვის. ზოგიერთ საქონელს ჩვენ ჯერ კიდევ ნაკლებს ვაწარმოებთ, ვიდრე საჭიროა ჩვენი ქვეყნის მზარდ მოთხოვნილებათა დასაკმაყოფილებლად.

და მაინც, მიუხედავად ამისა, ჩვენს მოვალეობად მიგვაჩნია ვუზიაროთ ჩვენს მეგობრებს, ძმურად დავეხმაროთ მათ. ასეთი დახმარების გაწევა წარმოებს ურთიერთ ხელსაყრელი პირობებით, ურთიერთ სასარგებლოა. ჩვენი მეგობრები ხედავენ, რომ ისინი იღებენ ჩვენგან უანგარო დახმარებას ჩვენი შინა სახსრებიდან რესურსების გამოყოფით. ეს არ შეიძლება არ დააფასონ მეგობრებმა, რადგან ეს მოწმობს ჩვენს პატიოსან განზრახვებს.

ასეთ პირობებში მონოპოლისტები რამენაირად უნდა გარდაიქმნან. ზოგიერთი უფრო კეთილგონიერი ბურჟუაზიული მოღვაწე ახლა ამბობს, რომ კაპიტალისტურმა ქვეყნებმა უნდა გააძლიერონ ეკონომიური დახმარება სუსტად განვითარებული ქვეყნებისათვის. ეს ცუდი არ არის. დაე კაპიტალისტურმა ქვეყნებმა გაუწიონ ასეთი დახმარება. ეს გაცილებით უკეთესია, ვიდრე ამ ქვეყნების ჩაბმა საომარ ბლოკებსა და კავშირებში.

ეს დახმარება, რომლის გაწევასაც აპირებენ კაპიტალისტური ქვეყნები იმ სახელმწიფოებისათვის, რომლებმაც ცოტა ხნის წინათ მოიპოვეს თავიანთი დამოუკიდებლობა, არ შეიძლება არ განვიხილოთ აგრეთვე როგორც საბჭოთა კავშირის თავისებური დახმარება ამ ქვეყნებისადმი. საბჭოთა კავშირი რომ არ ყოფილიყო, განა მონოპოლისტთა წრეები და იმპერიალისტური სახელმწიფოები გაუწევდნენ დახმარებას სუსტად განვითარებულ ქვეყნებს? რა თქმა უნდა, არა. არასოდეს წინათ ეს არ ყოფილა. **(გამოცოცხლება დარბაზში. ტაში).**

მაგრამ მე უკვე ვთქვი, რომ ეგრეთწოდებული „უფასო“ დახმარება კაპიტალისტური გაგებით ნამდვილად გამოიწვევს იმათ დამონებას, ვისაც ამ დახმარებას უწევენ, თუ ამ ქვეყნებში განურჩევლად მოეპყრობიან ამ დახმარებას.

ამას წინათ, გაუკეთა რა მიმოხილვა კონსერვატიული მთავრობის მიერ მიღწეულ წარმატებებს, ინგლისის ყოფილმა საგარეო საქმეთა მინისტრმა ბატონმა მაკმილანმა განაცხადა, კერძოდ, რომ ამ მთავრობამ მიაღწია ირანთან საქმეების წარმატებით გადაჭრას, რის შედეგად ინგლისში ფართო ნაკადად მიედინება ბაბადანის ნავთობი.

მაგრამ ეს ხომ ირანის კუთვნილი სიმდიდრე მიედინება. ირანიდან მიედინება ოქრო ინგლისის, ამერიკის, ჰოლანდიისა და საფრანგეთის ბანკების სარდაფებში. და ეს იმ დროს, როცა ირანის ხალხები გაჭირვებას განიცდიან. „დახმარებას“ უწევენ რა ირანს, მათ ჩალის ფასად მიაქვთ ირანის ნავთობი და მდიდრდებიან ამით, ირანელი ხალხის შიმშილითა და სიღატაკით.

ჩვენ აზიის ხალხებს როდი ვეუბნებით: ნუ მიიღებთ დახმარებას, რომელსაც ამერიკელი და ინგლისელი მონოპოლისტები გთავაზობენ. მაგრამ ჩვენ პატიოსნად ვაფრთხილებთ მათ, რომ საჭიროა უფრო ფრთხილად მოეკიდონ ასეთ „დახმარებას“, რადგან მონოპოლისტები უფასოდ არაფერს არ იძლევიან.

კაპიტალისტები უფასოდ არაფერს არ აკეთებენ. კაპიტალი ვერ იარსებებს უმოგებოდ.

ამხანაგო დეპუტატებო!

მე უკვე ვთქვი, რომ ჩვენ საუკეთესო მოგონება დაგვრჩა ინდოეთში ყოფნის შესახებ, ინდოეთის სახელმწიფოს ხელმძღვანელებთან, შტატების ხელმძღვანელებთან, ინდოეთის მუშებთან, გლეხებთან, ინტელიგენციასთან, ყველა იმათთან შეხვედრის შესახებ, ვისთანაც შეხვედრა მოგვიხდა.

ჩვენ ძალიან ვაფასებთ ინდოეთთან, მის დიდ და შრომისმოყვარე ხალხთან მეგობრობას, ბატონ ნერუსთან და ინდოეთის სხვა გამოჩენილ მოღვაწეებთან მეგობრობას, რომლებთანაც დავამყარეთ კონტაქტი, გვსურს შევინარჩუნოთ და განვავითაროთ ჩვენი მეგობრული ურთიერთობა.

როგორც ჩვენ, ისე ჩვენს ინდოელ მეგობრებს გვსურს ეს მეგობრული ურთიერთობა განვავითაროთ და განვამტკიცოთ არა სხვა სახელმწიფოებთან ინდოეთის თუ საბჭოთა კავშირის მეგობრული ურთიერთობის საზიანოდ.

ჩვენი მეგობრობა ისე გვესმის, რომ იგი არ უნდა დასჯერდეს მეგობრულ ურთიერთობას ერთ, ორ ან რამდენიმე სახელმწიფოსთან. ჩვენ გვინდა მეგობრობა ყველა სახელმწიფოსთან.

ამიტომ ჩვენ გვახარებს მეგობრული ურთიერთობა, რომელსაც ჩვენი მეგობრები ამყარებენ მესამე სახელმწიფოებთან, მათ შორის იმ სახელმწიფოებთანაც, რომლებთანაც ჩვენ, შესაძლოა, ამა თუ იმ მიზეზით რამდენადმე დაშეშინული, ცივი ურთიერთობა გვაქვს. ჩვენი მეგობრის მეშვეობით, როგორადაც ინდოეთი მიგვაჩნია, იმედი გვაქვს გავაუმჯობესოთ ურთიერთობა ამ სახელმწიფოებთან.

ჩვენ მუდამ გულწრფელად ვესწრაფვოდით და ვესწრაფვით მეგობრობას ყველა ქვეყანასთან, მათ შორის კაპიტალისტურ ქვეყნებთანაც. კერძოდ, ჩვენ გვსურს მეგობრულად ვიცხოვროთ აგრეთვე ყველაზე ძლიერ კაპიტალისტურ ქვეყნებთან — ამერიკის შეერთებულ შტატებთან, ინგლისთან და საფრანგეთთან.

ჩვენ რომ ამისათვის მიგვეღწია, — ეს კი უმთავრესად დამოკიდებულია არა ჩვენზე, არამედ ამერიკის შეერთებული შტატების, ინგლისისა და საფრანგეთის მთავრობებსა და ხალხებზე, — ეს შექმნიდა პირობებს ორი სისტემის ნამდვილი მშვიდობიანი თანაარსებობისა და შეჯიბრებისათვის.

სამწუხაროდ, ჩვენ ჯერ ვერ მივაღწიეთ ამას. მაგრამ იმედს არ ვკარგავთ და არ დავიშურებთ მეცადინეობას ამ მიმართულებით

ეროვნული ბიბლიოთეკა

ამხანაგ ნ. ს. ხრუშჩოვის სიტყვის გაგრძელება

მსოფლიოში მშვიდობის შენარჩუნებისა და განმტკიცებისათვის ბრძოლაში. **(მქუხარე ტაში).**

ამხანაგო დეპუტატებო!

განიხილავენ რა ინდოეთში, ბირმასა და ავღანეთში ჩვენი მოგზაურობის შედეგებს, ანალიზს უკეთებენ რა ჩვენს გამოსვლებს ამ ქვეყნებში, ზოგიერთი უცხოელი მოღვაწე, აგრეთვე ყველაზე უტიფარი ბურჟუაზიული ჟურნალისტები ბრალს სდებენ საბჭოთა კავშირს, რომ ჩვენ უარს ვამბობთ „ჟენევის სულისკვეთებაზე“. ეს სწორი არ არის.

ჩვენ აქტიური მონაწილენი ვართ იმ დიდმნიშვნელოვანი წვლილისა საერთაშორისო დაძაბულობის შენელებაში, რომელიც შეტანილია ჟენევაში ოთხი სახელმწიფოს მთავრობათა მეთაურების შეხვედრის შედეგად.

ჩვენ ვიბრძოდით ამ შენელებისათვის მთავრობათა მეთაურების თათბირზეც და საგარეო საქმეთა მინისტრების თათბირზეც, რომლებსაც დავალებული ჰქონდათ განეხილათ ისეთი უმნიშვნელოვანესი საკითხები, როგორიც არის ევროპის უშიშროების უზრუნველყოფა და ამასთან დაკავშირებული გერმანიის პრობლემა, განიარაღების საკითხი, აგრეთვე აღმოსავლეთსა და დასავლეთს შორის კონტაქტების განვითარება.

ჩვენი ბრალი არ არის, რომ ჯერჯერობით მიღწეული როდია ის შედეგები, რომლებისთვისაც იბრძვიან მშვიდობისმოყვარე ხალხები, რომლებიც ცდილობენ მიაღწიონ საერთაშორისო ურთიერთობაში დაძაბულობის შემდგომ შენელებას და მშვიდობის განმტკიცებას.

ოთხი სახელმწიფოს მთავრობათა მეთაურების და საგარეო საქმეთა მინისტრების ჟენევის თათბირებს, განსაკუთრებით მთავრობათა მეთაურების თათბირს, მხურვალედ მიესალმა მსოფლიოს ყველა ხალხი. ხალხების სურვილი, რომ შენელდეს საერთაშორისო დაძაბულობა და განმტკიცდეს მშვიდობის საქმე, ავალებდა ამ თათბირების მონაწილეებს შესაბამისად აეგოთ თავიანთი გამოსვლები და წინადადებანი.

სამწუხაროდ, უნდა ვაღიაროთ, რომ დასავლეთის სახელმწიფოთა წარმომადგენლები მთავრობათა მეთაურების თათბირზე არ გასცილებიან ტკბილ სიტყვებს საერთაშორისო დაძაბულობის შენელების სასარგებლოდ. განსაკუთრებით ეს ეხება მათს საგარეო საქმეთა მინისტრებს, რომლებმაც არ გამოიჩინეს სურვილი ჯეროვნად ემუშავნათ და ყოველი ღონე ეხმარათ, რათა მიეღწიათ იმ მიზნებისათვის, რომლებიც მათ დაუსახა მთავრობათა მეთაურების თათბირმა.

ეს მოწმობს, რომ დასავლეთის სახელმწიფოთა მთავრობებს, რომლებმაც თავიანთი მაღალი თანამდებობის წარმომადგენლები გაგზავნეს ოთხი სახელმწიფოს მთავრობათა მეთაურების თათბირზე, არ სურდათ კონკრეტულად გადაეჭრათ საკითხები, რომლებიც თათბირის დღის წესრიგში იდგა. თათბირზე რომ მიდიოდნენ, ისინი ამით დათმობას უკეთებდნენ საზოგადოებრივ აზრს, რომელიც მათზე ზეგავლენას ახდენდა.

ოთხი სახელმწიფოს მთავრობათა მეთაურების თათბირის მოწვევის თვით ფაქტი, ის განცხადებები, რომლებიც თათბირზე გაკეთდა, მოქმედების პროგრამა, რომელიც მთავრობათა მეთაურებმა თავიანთ საგარეო საქმეთა მინისტრებს დაუსახეს, — ყოველივე ეს, რა თქმა უნდა, ხელს უწყობდა საერთაშორისო დაძაბულობის შენელებას, ქმნიდა სამხედრო კონფლიქტების თავიდან აცილებისაკენ და „ცივი ომის“ ლიკვიდაციისაკენ მიმართული რაღაც უფრო კონკრეტული ნაბიჯების იმედს.

ასე იშვა „ჟენევის სულისკვეთება“.

ხალხები მიესალმნენ ამას, რადგან მათ სურთ სიმშვიდე, სურთ, რომ შემცირდეს გადასახადები, შემცირდეს შეიარაღების ხარჯები, რომ ეს კოლოსალური სახსრები მოხმარდეს მოსახლეობის ცხოვრების დონის ამაღლებას. აი ხალხების კონკრეტული სურვილი.

მაგრამ სწორედ ის, რაც მოსწონს ხალხს, რაზეც ოცნებობენ ხალხები, არ მოსწონთ კაპიტალისტებს, რომლებიც აწარმოებენ ატომურ და წყალბადის ბომბებს და სხვა იარაღს. შეიარაღების შემცირების და მით უმეტეს განიარაღების პერსპექტივას მონოპოლისტები ხვდებოდნენ როგორც მოგების შემცირების პერსპექტივას, რაზეც მათ არავითარ შემთხვევაში არა სურთ დათანხმდნენ.

აი ამიტომ ოთხი სახელმწიფოს მთავრობათა მეთაურების თათბირის დამთავრებისთანავე ისინი, ვინც მოსპობის საშუალებებს ამზადებს, და ისინიც, ვინც მათს ნებას ასრულებს, უკავათ რა ხელმძღვანელი პოსტები კაპიტალისტურ სახელმწიფოებში, არათუ არ ცდილან გაეღრმავებინათ და გაეფართოებინათ „ჟენევის სულისკვეთება“, არამედ, პირიქით, ცდილობდნენ ჩანასახშივე ჩაეკლათ იგი.

რაც შეეხება საბჭოთა კავშირს, მისი წარმომადგენლები მთავრობათა მეთაურების შეხვედრის მსვლელობაშიც და ოთხი სახელმწიფოს საგარეო საქმეთა მინისტრების თათბირზეც ყველაფერს აკეთებდნენ, რაც მათ ძალუძდათ, რათა მიეღწიათ დადებითი შედეგისათვის.

სამწუხაროდ, ჩვენ ვერ შევხვდით ნაცვალგებას ამ ჩვენს მისწრაფებაში, და საკითხები, რომლებიც ასე აინტერესებდა მთელ კაცობრიობას, ვერ გადაიჭრა.

ჩვენ არ დავიშურებთ ძალღონეს და ვეცდებით, რომ ეს საკითხები, ბოლოს და ბოლოს, დადებითად გადაიჭრას. მაგრამ ამისათვის მარტო ჩვენი მეცადინეობა როდი კმარა. აქ საჭიროა აგრეთვე ჩვენი პარტნიორების მეცადინეობა.

ბოლოს, უდიდესი როლი უნდა შეასრულონ საზოგადოებრიობის ძალებმა, მილიონობით ადამიანის ძალებმა, რომლებიც იბრძვიან უშიშროების უზრუნველყოფისათვის, განიარაღებისათვის, საერთაშორისო დაძაბულობის შენელებისათვის, „ცივი ომის“ შეწყვეტისათვის.

დღეს ყველაზე მწვავე საკითხია ევროპის უშიშროების უზრუნველყოფის საკითხი. ამ საკითხის გადაჭრაზე დამოკიდებულია აგრეთვე სხვა საერთაშორისო პრობლემების მოწესრიგება. მაგრამ თქვენ იცით, რომ ჩვენი პარტნიორები მოლაპარაკებაში — ამერიკის შეერთებული შტატები, ინგლისი და საფრანგეთი — ამ საკითხს უპირისპირებენ გერმანიის პრობლემას.

მათი პოზიცია იმაში მდგომარეობს, რომ დასავლეთ გერმანიას შეუერთონ გერმანიის დემოკრატიული რესპუბლიკა, მოსპონ გერმანიის დემოკრატიული რესპუბლიკის მშრომელთა სოციალური მონაპოვარნი, თავით ფეხამდე შეაიარაღონ ეს გაერთიანებული და, ამასთან, ნატო-ში შეყვანილი გერმანიის სახელმწიფო. ასეთი პირობებში ისინი უარს არ იტყვიან ხელი მოაწერონ ხელშეკრულებას „ევროპის უშიშროების“ შესახებ, თუმცა საქმით ეს არათუ არ გამოიწვევდა ევროპის უშიშროების უზრუნველყოფას, არამედ, პირიქით, ბევრად გაზრდიდა ევროპაში ახალი ომის გაჩაღების საფრთხეს მთელი მისი მძიმე შედეგებით ხალხებისათვის.

ამ პოზიციის დამცველები არ მალავენ, რომ ასეთი სამხედრო კომბინაცია მოფიქრებულია ერთადერთი მიზნით: გააძლიერონ ნატო-ში შემავალი ქვეყნების ბანაკი და შექმნან მის მხარეზე ისეთი უპირატესობა, რომელიც აიძულებდა სსრ კავშირსა და სახალხო დემოკრატიის ქვეყნებს კაპიტულაცია მოეხდინათ მათ წინაშე და მიეღოთ მათი პირობები.

კარგი „უშიშროებაა“!

ყოველი საღად მოაზროვნე ადამიანი მიხვდება, რომ ასეთი გეგმები ვერ განხორციელდება. და თუ ნამდვილად სურთ გადაჭრან ევროპის უშიშროების უზრუნველყოფის პრობლემა, ამას უნდა მიუდგნენ სერიოზულად, რეალური ვითარების გათვალისწინებით.

ამ რეალურ ვითარებას ახასიათებს უწინარეს ყოვლისა ის, რომ გერმანიის ტერიტორიაზე ახლა შეიქმნა ორი სახელმწიფო სხვადასხვა პოლიტიკური და სოციალური სისტემებით, ამასთან ერთი მათგანი — გერმანიის დემოკრატიული რესპუბლიკა — მიდის მშვიდობისა და დემოკრატიის განმტკიცებისათვის ბრძოლის გზით, ხოლო მეორე სახელმწიფოს — გერმანიის ფედერალური რესპუბლიკის — ხელმძღვანელები „ძალის პოზიციის“ პოლიტიკის მომხრეები არიან, ამასთან თვითონ გერმანიის ფედერალური რესპუბლიკა შედის ნატო-ს აგრესიულ ბლოკში.

რას მოწმობს ეს? იმას, რომ ახლანდელ პირობებში არ არის რეალური შესაძლებლობა გაერთიანდეს ეს ორი, ესოდენ განსხვავებული, გერმანული სახელმწიფო. მაგრამ ნიშნავს თუ არა ეს იმას, რომ ახლა არ არის შესაძლებლობა უზრუნველვყოთ ევროპის კოლექტიური უშიშროება და ამით ხელი შევუწყოთ მთელ მსოფლიოში მშვიდობის უზრუნველყოფას? არა, არ ნიშნავს.

ევროპის უშიშროების უზრუნველყოფით, მშვიდობის განმტკიცების პირობების შექმნით დაინტერესებული არიან ინგლისი და სსრ კავშირი, საფრანგეთი და პოლონეთი, ჩეხოსლოვაკია და ბელგია, — ევროპის ყველა სახელმწიფო, აგრეთვე ამერიკის შეერთებული შტატები.

თუ ნამდვილად გავითვალისწინებთ ამას და თუ გვეხსომება, რომ ორივე გერმანულ სახელმწიფოს, რომლებიც ახლა სახელმწიფოთა ერთმანეთისადმი დაპირისპირებულ დაჯგუფებებში შედიან, შეუძლია წარმატებით მიიღოს მონაწილეობა სრულიად ევროპის უშიშროების სისტემაში, რომელიც შეცვლიდა ორივე ამ დაჯგუფებას, — მაშინ საკითხი შეიძლება გადაიჭრას ისე, როგორც ამას ხალხთა ინტერესები მოითხოვს.

სხვა გადაჭრას ჩვენ ვერ ვხედავთ. ვერავინ ვერ გვაიძულებს ჩვენ საკუთარი ხელით გავაძლიეროთ სამხედრო ბლოკი, რომელიც მიმართულია საბჭოთა კავშირისა და სხვა მშვიდობისმოყვარე სახელმწიფოების წინააღმდეგ. **(ტაში).**

მაგრამ სწორედ ამას ესწრაფვიან ისინი, ვინც გვთავაზობს დავთანხმდეთ გერმანიის ისეთ გაერთიანებაზე, რასაც თან მოჰყვებოდა გაერთიანებული გერმანიის მონაწილეობა აგრესიულ ანტისაბჭოთა ბლოკში.

ჩვენ გვსურს, რომ ამ საკითხში უწინარეს ყოვლისა სწორად გაგვიგონ გერმანელებმა, განსაკუთრებით დასავლეთ გერმანიაში. სსრ კავშირის, გერმანიისა და ევროპის სახალხო დემოკრატიის ქვეყნების ხალხები ორჯერ იყვნენ ჩაბმული სისხლისმღვრელ მსოფლიო ომებში, და ყველაზე მეტი მსხვერპლი ამ ომებში ჩვენი ქვეყნისა და გერმანიის ხალხებმა გაიღეს. დროა ახლა ვიფიქროთ ამაზე და სწორად გადავჭრათ საკითხი, რომ თავიდან ავიცილოთ მსგავსი მოვლენების გამეორება მომავალში.

რაც შეეხება ჩვენს ურთიერთობას დასავლეთ გერმანიასთან, ჩვენ არაერთხელ განვაცხადეთ, რომ როგორც საბჭოთა კავშირის, ისე გერმანიის ფედერალური რესპუბლიკის ინტერესებისათვის მიზანშეწონილი იქნებოდა დაგვემყარებინა ჩვენს ქვეყნებს შორის კარგი მეგობრული ურთიერთობა. არის ყველა პირობა იმისათვის, რომ დავამყაროთ ასეთი ურთიერთობა.

აქვე აღვნიშნავ, რომ ჩვენი ღონისძიებანი, რომელთა მიზანია სრულიად ევროპის უშიშროების უზრუნველყოფა და გერმანიის საკითხის შესაბამისი გადაჭრა, სრულებითაც არ ეწინააღმდეგება ინგლისისა და საფრანგეთის ინტერესებს. და, პირიქით, კიდევაც რომ დავუშვათ ერთი წუთით, რომ განხორციელდეს ამერიკის შეერთებული შტატების ომის მოტრფიალე მოღვაწეთა სრულიად არარეალური ოცნება იმის შესახებ, რომ შეიყვანონ გაერთიანებული გერმანია აგრესიულ ბლოკში, მაშინ საეჭვოა, რომ ამ შემთხვევაში მშვიდად იცხოვრონ თრანგიმა და ინგლისელებმა. მაშინ გერმანელ რევანშისტებს ხელფეხი გახსნილი ექნებოდათ. ისინი იმოქმედდნენ თავისებურად და, რასაკვირველია, საფრანგეთი იქნებოდა მათთვის მაცთუნებელი, გემრიელი ლუკმა.

ჩვენ ამას ვამბობთ სრულიადაც არა იმიტომ, რომ გვსურს ეს ასე იყოს. არა, ჩვენ ყველაფერს გავაკეთებთ, რომ ეს ასე არ იყოს. მაგრამ ისტორიის გამოცდილება გვასწავლის. რომ ასეთი საშიშროება არის, მით უმეტეს, რომ საფრანგეთი უფრო სუსტია, ვიდრე საბჭოთა კავშირი და სახალხო დემოკრატიის ქვეყნები, კაცმა რომ თქვას, ინგლისიც უფრო სუსტია.

ამიტომ ჩვენ გულწრფელად გვსურს, რომ საფრანგეთშიც და ინგლისშიც ასევე სწორად გაგვიგონ. და განა არ ეჯობებს, რომ ნაცვლად იმისა, რომ ძალღონეს ვხარჯავდეთ ერთმანეთის წინააღმდეგ ბრძოლის მოსამზადებლად, შევათანხმოთ ჩვენი საქმიანობა და სწორად გადავჭრათ ევროპის უშიშროების საკითხი? **(ხანგრძლივი ტაში).**

ამასთან დაკავშირებით მინდა მოვაგონოთ, რომ წინადადებანი, რომლებიც გააკეთეს ჟენევაში საფრანგეთის პრემიერ-მინისტრმა ბატონმა ფორმა და ინგლისის პრემიერ-მინისტრმა ბატონმა იდენმა, საფუძველს ქმნიან ევროპის უშიშროების უზრუნველყოფისაკენ მიმართული მოლაპარაკებისათვის.

შეთანხმება ამ საკითხზე გააადვილებდა სხვა უმნიშვნელოვანესი პრობლემების, მათ შორის განიარაღების პრობლემის გადაჭრასაც.

ყველამ კარგად იცის, რომ როგორც ჟენევის თათბირებზე, ისე გაერთიანებული ერების ორგანიზაციაშიც საბჭოთა კავშირს შეჰქონდა მთელი რიგი კონკრეტული წინადადებანი შეიარაღების შემცირების, ატომური და წყალბადის იარაღის აკრძალვისა და საერთაშორისო კონტროლის დაწესების შესახებ. ამ საკითხებზე შეთანხმების მიღწევას ხელი შეუშალა იმან, რომ ამერიკის შეერთებულმა შტატებმა შეცვალეს თავიანთი პოზიცია, მათ უეცრად უარი თქვეს თავიანთ წინანდელ წინადადებებზე, როდესაც ჩვენ დავთანხმდით საფუძვლად მიგვეღო ისინი.

ახლა ამერიკის შეერთებული შტატები, რომლებმაც არსებითად უკუაგდეს შეიარაღების შემცირების საკითხი, პირველ პლანზე აყენებენ ერთადერთ წინადადებას, რომელიც პრეზიდენტმა ეიზენჰაუერმა შეიტანა ჟენევაში, — წინადადებას სამხედრო ინფორმაციის გაცვლისა და აეროფოტოგადაღებათა დაუბრკოლებლივ განხორციელების შესახებ.

ჩვენ უკვე აღვნიშნეთ, რომ წინადადება აეროფოტოგადაღებათა შესახებ ვერ წყვეტს საკითხის არსს. იმ პირობებში, როცა საქმით არ არის გათვალისწინებული შეიარაღების შემცირება, არამედ მხედველობაშია მიღებული მისი გაფართოებაც კი, ტერიტორიათა შემოფრენას და აეროფოტოგადაღების განხორციელებას შეუძლია ხელი შეუწყოს მხოლოდ საომარ ვნებათა და ომის ფსიქოზის გაღვივებას. ეს გამოდის უკვე არა კონტროლი და არც კონტროლის მსგავსი რამ. ეს ფაქტიურად არის საშუალება, რომელსაც იყენებენ იმ გარკვეული მიზნით, რომ რაც შეიძლება უკეთ გამოარკვიონ მეორე ქვეყნის ძალები.

განა ცხადი არ არის, რომ ასეთი გზით მიღებული ცნობები შეიძლება გამოიყენონ იმისათვის, რომ შეარჩიონ უფრო მოხერხებული მომენტი ამ ქვეყანაზე უეცარი თავდასხმისათვის. საკითხავია — რით განსხვავდება ეს იმისაგან, რასაც სამხედრო დაზვერვა ეწოდება? არსებითად არაფრით არ განსხვავდება.

სხვა საქმეა რეალურად მივუდგეთ განიარაღების პრობლემას: შევთანხმდეთ შეიარაღების დონეებზე, ატომური და წყალბადის იარაღის აკრძალვაზე, დავაწესოთ გონივრული და უკვე ახლანდელ პირობებში შესაძლებელი საერთაშორისო კონტროლის სისტემა რკინიგზის კვანძებზე, საზღვაო ბაზებზე, აეროდრომებზე და ასე შემდეგ, რაც შესაძლებლობას მოგვცემს თავიდან ავიცილოთ ერთი ქვეყნის უეცარი თავდასხმა მეორეზე. ასეთ ღონისძიებათა განხორციელება საკვლევით შესაძლებელია და ყველა ხალხი მიესალმებოდა მათ.

განიარაღების ზოგიერთი მოწინააღმდეგე ემყარება იმ ცრუ წანამძღვარს, რომ თითქოს მათ ჰქონდეთ ძალის რაიმე უპირატესობა და რომ, ამიტომ, მათთვის ხელსაყრელი არ არის განიარაღება. ჩვენ ვაფრთხილებდით და ვაფრთხილებთ აბადაღებული „ძალის პოზიციის“ პოლიტიკის ამ დამცველებს, რომ ისინი შეიძლება სერიოზულად მოტყუვდნენ ამ თავიანთ აზარტულ თამაშში. **(მქუხარე, ხანგრძლივი ტაში).**

ჩვენ არა გვსურს ვინმე დავაშინოთ, მით უმეტეს არა გვსურს ვიტრაბახოთ ჩვენი სამხედრო-ტექნიკური მიღწევებით. მაგრამ იმისათვის, რომ შევანელოთ გამალებული შეიარაღების ყველაზე თავგამოდებული დამცველების სიფიცხე, ჩვენ უნდა მოვაგონოთ მათ საბჭოთა წყალბადის ბომბის იმ გამოცდის შედეგები, რაც ამას წინათ განხორციელდა.

ამ იარაღის სიმძლავრე, როგორც უკვე გამოცხადებული იყო, ეკვივალენტურია მრავალი მილიონი ტონა ჩვეულებრივი ფეთქებადი ნივთიერების სიმძლავრისა და იგი შეიძლება მნიშვნელოვნად გაძლიერდეს. ჩვენ წინანდებურად მოვითხოვთ, რომ აიკრძალოს ყველა სახეობის ატომური და წყალბადის იარაღის წარმოება, გამოცდა და გამოყენება. მაგრამ იმათ, ვინც ეწინააღმდეგება ამას, არ უნდა დაივიწყონ აღნიშნული გამოცდების შედეგები. **(მქუხარე ტაში).**

დიდი მნიშვნელობა აქვს აღმოსავლეთსა და დასავლეთს შორის კონტაქტების განვითარების საკითხს, რომელსაც ჟენევაში განიხილავდნენ. საბჭოთა კავშირი საქმით უწყობს ხელს ამ კონტაქტების განვითარებას. გვსურს რა შენელდეს საერთაშორისო დაძაბულობა და დამყარდეს საქმიანი კონტაქტები უცხოეთის სხვადასხვა მოღვაწეებთან, ჩვენ, მაგალითად, უარს არ ვეუბნებოდით და არც ახლა ვეუბნებით ვიზებზე უცხოელებს, რომლებიც სურვილს გამოთქვამენ ჩამოვიდნენ საბჭოთა კავშირში და შეისწავლონ მისი ცხოვრება.

ჩვენს ქვეყანაში წელს იყო ბევრი ამერიკელი სენატორი და კონგრესმენი, ჩვენ ისინი ხალისით მივიღეთ და ვესაუბრეთ მათ.

საბჭოთა კავშირში თავისუფლად მოგზაურობდა ამერიკის რეაქციული გაზეთების მრავალი კორესპონდენტი, რომლებიც დასპეციალებული არიან ყოვლად უაზრო ანტისაბჭოთა სტატიების შეთხზვაში. ჩვენ ეს ვიცოდით და მაინც მივეცით მათ ნება ჩამოსულიყვნენ საბჭოთა კავშირში, თუმცა ცნობილი იყო, რომ ასეთი ჟურნალისტები ჩვენში მოდიან იმისათვის, რომ კვლავაც წერონ „ცივი ომის“ სულისკვეთებით.

ამერიკის შეერთებული შტატების ხელისუფლებმა კი ჯერჯერობით ამერიკაში გამგზავრების ნება დართეს მხოლოდ მცირერიცხოვან სასოფლო-სამეურნეო დელეგაციას, მშენებელთა დელეგაციას და საბჭოთა ჟურნალისტების ერთადერთ ჯგუფს, რომლებსაც, აქვე ვიტყვით, ცხრა თვეს მოუხდათ ვიზის ლოდინი. ზოგიერთ მათგანს უკვე ბავშვი შეეძინა ამ ხანში. **(სიცილი დარბაზში. ტაში).**

ჩვენ გვინდა, რომ გაძლიერდეს საბჭოთა ადამიანების კონტაქტები ამერიკის შეერთებული შტატებისა და სხვა ქვეყნების სულ სხვადასხვა წრეებთან. ჩვენ გვინდა ურთიერთმეგობრობის განმტკიცება და არა სხვა ქვეყნების ჩარევა საბჭოთა კავშირის საშინაო საქმეებში, როგორც ამას მოითხოვდა ზოგი ვინმე ჟენევაში. რა თქმა უნდა, ჩვენ ამაზე არასოდეს არ დავთანხმდებით.

არ შეიძლება არ აღვნიშნოთ გზადაგზა, რომ დასავლეთის ზოგიერთი სახელმწიფო მოღვაწე ამ უკანასკნელ ხანს იჩენს „ჟენევის სულისკვეთების“, მეტი რომ არა ვთქვათ, უცნაურ გაგებას. მათ სურთ, რომ საბჭოთა კავშირმა ცალმხრივად განაიარაღოს თავისი არმია, რომ ჩვენ განვიარაღდეთ აგრეთვე მორალურად, სულიერად, იდეოლოგიურად.

ამ თემაზე ლაპარაკი ახალი არ არის, და პირველი წელი როდია, რაც წარმოებს, თუმცა ცხოვრებამ უკვე ბევრჯერ სასტიკად ასწავლა ჭკუა იმათ, ვინც ცდილობდა ამგვარი პირობები მოეხვია თავს საბჭოთა კავშირისათვის.

რაიმე საიდუმლოების გამოაშკარავება არ იქნება, თუ ვიტყვი, რომ ასეთ არარეალისტურ პოლიტიკას საბჭოთა კავშირის მიმართ გულმოდგინედ ქადაგებენ ამერიკის შეერთებულ შტატებში, ამასთან ამ პოლიტიკის თავისებურ თეორეტიკოსის უხამსი როლი იკისრა ამერიკის შეერთებული შტატების ახლანდელმა სახელმწიფო მდივანმა ბატონმა დალესმა.

სწორედ იგი დიდი ხნის მანძილზე აქტიურად ქადაგებს „უკუგდების“, „მასივური სიპასუხო დარტყმის“ ყბადაღებულ იდეებს და სხვა აბსურდულ რამეებს.

არა სურთ რა, როგორც ჩანს, ანგარიში გაუწიონ რეალობას, ამერიკის შეერთებული შტატების გარკვეული წრეები ახლანდელ პირობებშიც, ოთხი სახელმწიფოს მთავრობათა მეთაურების ჟენევის თათბირის შემდეგ, ცდილობენ გამოიყენონ ენა „ძალის პოზიციის“ პოლიტიკისა, რომელიც დიდი ხანია ჩაიფუშა. სწორედ აქედან მოდის მთელი ეს ლაპარაკი, რომ უნდა „განვაგრძოთ ზეგავლენა“ საბჭოთა კავშირზე, „ვაიძულოთ წითლები უკან დაიხიონო“.

ამასთან დაკავშირებით საჭიროა განსაკუთრებით შევეხოთ იმ პოზიციას, რომელიც ახლა დაიკავა ამერიკის შეერთებული შტატების ზოგიერთმა თვალსაჩინო მოღვაწემ, მათ შორის პრეზიდენტმა ეიზენჰაუერმაც, რომელიც, როგორც ცნობილია, ცოტას როდი ლაპარაკობდა ჟენევაში იმაზე, რომ საჭიროა საერთაშორისო დაძაბულობის შენელება.

კერძოდ, მხედველობაში მაქვს პრეზიდენტ ეიზენჰაუერის, სახელმწიფო მდივნის დალესის და ამერიკის სხვა პასუხისმგებელ მოღვაწეთა ეგრეთწოდებული „საშობაო მიმართვები“ სახალხო დემოკრატიის ქვეყნების ხალხებისადმი, — მიმართვები, რომლებიც არასგზით არ ეგუება „ჟენევის სულისკვეთებას“ და რომლებიც სხვა არა არის რა, თუ არა უხეში ჩარევა იმ თავისუფალ და სუვერენულ სახელმწიფოთა საშინაო საქმეებში, რომლებიც გაერთიანებული ერების ორგანიზაციის წევრები არიან.

ამერიკელი მოღვაწეები თავიანთ „საშობაო მიმართვებში“ აცხადებენ, რომ ისინი „ლოცულობენ“ იმისათვის, რომ ამ ქვეყნებში შეიცვალოს არსებული წესწყობილება, და აშკარად ჰპირდებიან ამერიკის შეერთებული შტატების „მხარდაჭერას“ ამ საქმეში.

განა ეს მოწმობს შერიგების სურვილს, „ჟენევის სულისკვეთების“ განმტკიცებისა და გაფართოებისადმი მისწრაფებას?

არა. ეს სწორედ საწინააღმდეგო მიმართულებით მოქმედებს, ეს იწვევს ვნებათა გაღვივებას, მაშასადამე, ახალ გამალებულ შეიარაღებას, ომის საფრთხის გაძლიერებას.

მე ძალიან არა მსურს ვილაპარაკო ყოველივე ეს, და განსაკუთრებით ბატონ ეიზენჰაუერზე, რომელსაც განსაკუთრებული პატივისცემით ვეპყრობი. შეუძლიათ თქვან, ხრუშჩოვს ამ საკითხებზე ლაპარაკით „ჟენევის სულისკვეთების“ ლიკვიდაცია სურსო. მაგრამ მე თვითონ ხომ არ ვაყენებ ამ საკითხებს, მე მხოლოდ ვუპასუხებ იმათ, ვინც, არღვევს რა „ჟენევის სულისკვეთებას“, აშკარად ერევა ჩვენი მოკავშირეებისა და მეგობრების — სახალხო დემოკრატიის ქვეყნების საშინაო საქმეებში.

რაკი საქმე შეეხო „საშობაო მიმართვებს“, რომლებსაც ესოდენ მკაფიოდ გამოხატული პოლიტიკური ხასიათი ენიჭება, შეიძლება მივუხვდეთ ამ მიმართვების ავტორებს. ისინი ხომ საკმაოდ სოლიდური ფირმების წარმომადგენლები არიან. ავიღოთ ამ ჯგუფის თუნდაც ისეთი მხცოვანი წარმომადგენელი, როგორიც ბატონი ჰარიმანია. ცნობილია, რომ მას ბევრი მილიონი აქვს. სხვებსაც საკმაოდ დიდი კაპიტალი აქვთ, მეტი თუ ნაკლები, ღმერთმა იცის, ჩვენ არ დაგვითვლია, მაგრამ თუ მათ ჰარიმანზე ნაკლები მილიონები აქვთ, უეჭველია, სურთ ჰარიმანზე მეტი ჰქონდეთ ეს მილიონები. **(გამოცოცხლება დარბაზში).**

მაშასადამე, აქ ადამიანის სულისათვის ზრუნვა კი არ არის, არამედ საკუთარი ქისისათვის ზრუნვაა. **(სიცილი დარბაზში. ტაში).**

როცა „საშობაო მიმართვების“ ავტორები მოითხოვენ იმას, რომ შეიცვალოს სახალხო დემოკრატიის ქვეყნების წესწყობილება, ისინი იბრძვიან ბატიასთვის, რაძივილებისათვის, პოტოცკებისათვის, ბრატიანუს და სხვა მსხვილი კაპიტალისტებისა და მემამულე მაგნატებისათვის, რომლებიც სახალხო დემოკრატიის ქვეყნების მშრომელებმა განდევნეს ამ ქვეყნებიდან. **(ხანგრძლივი ტაში).** მაგრამ არ შეიძლება ამ ქვეყნების ხალხები გავაიგივეოთ ბატიებთან, რაძივილებთან, პოტოცკებთან, ბრატიანუებთან და სხვებთან.

სრულიად არა რელიგიური „საშობაო მიმართვების“ ამერიკელ ავტორებს უაღრესად მჭიდრო კავშირი აქვთ სახალხო დემოკრატიის ქვეყნებიდან განდევნილ თუ გაქცეულ კაპიტალისტებთან. სურთ რა, რომ შეიცვალოს ახალი წესწყობილება სახალხო დემოკრატიის ქვეყნებში, ამ ამერიკელ მოღვაწეებს უნდათ ამ ქვეყნებში დაბრუნდეს კაპიტალისტური წესწყობილება, კაპიტალისტებს დაუბრუნდეთ ფაბრიკა-ქარხნები, მსხვილ მემამულე მაგნატებს დაუბრუნდეთ მიწა.

ხოლო ბატონ ჰარიმანს სურს, რომ ამ ქვეყნებში დაბრუნდნენ არა მარტო კაპიტალისტები, არამედ თვითონ მასაც, როგორც ჩანს, სურს წინანდებურად იპარპაშოს უნგრეთის ეკონომიკაში, როგორც ამას სჩადიოდა, სანამ უნგრეთში სახალხო დემოკრატიის ხელისუფლება დამყარდებოდა.

მაგრამ ძველის დაბრუნება არ იქნება. ვერავითარი „საშობაო მიმართვები“ ვერ უშველის ვერც მემამულეებს, ვერც კაპიტალისტებს, ვერც ბანკირებს, ვერც მსხვილ ვაჭრებს, ვერც სხვა ექსპლოატატორებს, რომლებიც სახალხო-დემოკრატიული სახელმწიფოების მშრომელებმა განდევნეს თავიანთი ქვეყნებიდან. **(მქუხარე, ხანგრძლივი ტაში).**

ჩვენ შეგვიძლია საკუთარი გამოცდილება დავიმოწმოთ. როცა ჩვენი ქვეყნის ხალხებმა კაპიტალისტური წესწყობილება დაამხეს და მსოფლიოში პირველი მუშათა და გლეხთა სახელმწიფო შექმნეს, ცოტა როდი იყო ძველი, კაპიტალისტური წესწყობილების დამცველი როგორც ჩვენს ქვეყანაში, ისე საზღვარგარეთ, რომელნიც გულმოდგინედ ლოცულობდნენ რუსეთში ძველი, კაპიტალისტური წესწყობილების აღდგენისათვის.

საზღვარგარეთ გულმოდგინედ ლოცულობდნენ მილიუკოვებისათვის, ტერეშჩენკოების, იუზების, რიაბუშინსკებისა და მსხვილი კაპიტალის სხვა წარმომადგენლებისათვის, იმისათვის, რომ დაბრუნებულიყო კაპიტალისტთა და მემამულეთა ხელისუფლება. მაგრამ რა გამოვიდა აქედან?

საერთაშორისო იმპერიალიზმის ყველა ცდა — აღედგინა კაპიტალისტური წესწყობილება ჩვენს ქვეყანაში — ჩაიფუშა. საბჭოთა ხალხმა თავისი ნაცადი ბელადის — კომუნისტური პარტიის მეთაურობით გაანადგურა ყველა, ვინც ცდილობდა იარაღის ძალით თუ სხვა გზებით აღედგინა კაპიტალისტური წესწყობილება რუსეთში.

ჩვენი ქვეყნის ხალხები მტკიცე რწმენით მიდიოდნენ სოციალისტური განვითარების გზით და მსოფლიოში პირველებმა ააშენეს სოციალისტური საზოგადოება, რითაც განახორციელეს მშრომელი კაცობრიობის საუკუნეობრივი ოცნება. მათ შექმნეს მძლავრი სოციალისტური ინდუსტრია, რომლის განვითარების დონესაც ახასიათებს შემდეგი მონაცემები: 1955 წელს სსრ კავშირის მთელი მრეწველობის საერთო პროდუქციამ 27-ჯერ გადააჭარბა 1913 წლის დონეს, ხოლო წარმოების საშუალებათა წარმოება 60-ჯერ გაიზარდა, ელექტროენერგიის წარმოება — 86-ჯერ, მანქანათმშენებლობის პროდუქციის წარმოება — 160-ჯერ და მეტად. **(მქუხარე, ხანგრძლივი ტაში).**

იზრდება და ვითარდება ჩვენი ქვეყნის სოფლის მეურნეობა.

თუ რევოლუციამდე რუსეთის მოსახლეობის 76 პროცენტი წერაკითხვის უცოდინარი იყო, ჯერ კიდევ მეორე მსოფლიო ომამდე წერაკითხვის უცოდინრობა ჩვენს ქვეყანაში ძირითადად ლიკვიდირებული იყო.

მიმდინარე წელს ჩვენი ქვეყნის სკოლებსა და ტექნიკუმებში თითქმის 35 მილიონი მოსწავლეა. უმაღლეს სასწავლებლებში ახლა სწავლობს 1 მილიონ 865 ათასი სტუდენტი. საბჭოთა კავშირში ამზადებენ გაკილებით მეტ სპეციალისტს, ვიდრე ინგლისში, საფრანგეთში, იტალიასა და დასავლეთ ევროპის სხვა კაპიტალისტურ ქვეყნებში ერთად. **(ტაში).**

და ტყუილად როდია იძულებული კომუნიზმის ისეთი აქტიური მოწინააღმდეგე, როგორიც არის ბატონი ჩერჩილი, რომელიც არა მარტო ლოცულობდა იმისათვის, რომ ჩვენს ქვეყანაში კაპიტალისტური წესწყობილება დაბრუნებულიყო. არამედ იარაღის ძალითაც კი უნდოდა აღედგინა ეს წესწყობილება რუსეთში, აღიაროს ახლა, რომ საბჭოთა კავშირმა სპეციალისტების მომზადებაში ბევრად გაუსწრო კაპიტალისტურ ქვეყნებს. და ეს აწუხებს ბატონ ჩერჩილს, მაგრამ ძალიან გვახარებს ჩვენ. **(მქუხარე ტაში).**

ჩვენი ქვეყნის განვითარების შესანიშნავი შედეგები შთამაგონებელი მაგალითია სახალხო დემოკრატიის ქვეყნების მშრომელებისათვის, სხვა ქვეყნების ხალხებისათვის.

მთელი მსოფლიოს ხალხები, მათ შორის კოლონიური, დამოკიდებული სახელმწიფოების ხალხებიც, სულ უფრო მტკიცედ იბრძვიან ადამიანის მიერ ადამიანის ექსპლოატაციის წინააღმდეგ,

ამხანაგ ნ. ს. ხრუშჩოვის სიტყვის დასასრული

(სტენოგრამა)

სახალხო დემოკრატიის ქვეყნების მშრომელები, რომლებიც საკუთარის გამოცდილებამ დაარწმუნა, რომ მხოლოდ კაპიტალისტების ხელისუფლების დამხობას, ძალაუფლების ხალხის ხელში გადასვლას მოჰყვება ნამდვილი თავისუფლება, თავიანთ არაკეთილმოსურნეთა ყველა ხრიკის საპასუხოდ კიდევ უფრო დაირაზმებიან თავიანთი კომუნისტური პარტიების, მუშათა პარტიების, შრომის პარტიების გარშემო.

როგორც უნდა ცოფდებოდნენ კაპიტალისტები, ისინი ვერ მოახერხებენ სოციალისტური ბანაკის დაშლას. ჩვენ კვლავაც ვიცლით დიდი ლენინის მიერ ნაჩვენები გზით, ვიცლით ერთად, მტკიცედ ხელიხელ ჩაკიდებულნი, აღვგვით გზიდან ჩვენს ქვეყნებში ყველაფერს, რაც ხელს უშლის წინსვლას კომუნისტური საზოგადოების აშენებისაკენ. **(მქუხარე, ხანგრძლივი ტაში).**

ინგლისის, ამერიკის შეერთებული შტატებისა და საფრანგეთის ყველაზე შორსმჭვრეტელი და საღად მოაზროვნე მოღვაწეები ითვალისწინებენ, რომ პოზიცია, როშელიც ამ ბოლო დროს დაიკავეს ზოგიერთმა წრეებმა დასავლეთის სახელმწიფოებში, ეწინააღმდეგება „ჟენევის სულისკვეთებას“.

დავიმოწმებ თუნდაც ლორდ ჩორლის ამასწინანდელ გამოსვლას, რომელმაც აღიარა, რომ დასავლეთის სახელმწიფოებს დიდი პასუხისმგებლობა ეკისრებათ საგარეო საქმეთა მინისტრების ჟენევის თათბირის წარუმატებლობისათვის.

„უნდა ვთქვა, — განაცხადა ჩორლმ, — რომ, ჩემი აზრით, თეორია, თითქოს დასავლეთის სახელმწიფოებს აქვთ გონივრულობის მონოპოლია, ვერავითარ კრიტიკას ვერ უძლებს... — აქვე შევნიშნავ, რომ ჩვენ ამას სადავოდ არ ვხდით. **(გამოცოცხლება დარბაზში).** ისინი ფაქტიურად ისეთ პოლიტიკას ახორციელებენ, რომელიც მე მოძველებულ „ძალის პოლიტიკად“ მიმაჩნია. მეორე მხრივ, სსრ კავშირმა, ჩემი აზრით, გააკეთა მთელი რიგი მნიშვნელოვანი დათმობანი, იგი გაცილებით უფრო მოქნილ პოლიტიკას ახორციელებს და ამის შედეგად უპირატესობას მიაღწია“.

არ შეიძლება არ დავეთანხმოთ ამ შეფასებას.

ცდილობს რა თავისი დაწაბალული სხვას გადააბრალოს, ბრალად დაგვდოს „ჟენევის სულისკვეთების“ დარღვევა, ზოგიერთი ბურჟუაზიული ჟურნალისტი იმოწმებს ჩემს გამოსვლებს, სხვა ჩვენი სახელმწიფო და პოლიტიკური მოღვაწეების გამოსვლებს. ისინი ჩივიან, რომ ჩვენს გამოსვლებში ვამბობთ, რომ მარქსიზმ-ლენინიზმის მოძღვრება გაიმარჯვებს. მაგრამ განა ეს არღვევს „ჟენევის სულისკვეთებას“?

დიახ, ჩვენ ვამბობდით და ვამბობთ, რომ ორი ეკონომიური სისტემის მშვიდობიან შეჯიბრებაში გაიმარჯვებს სოციალისტური სისტემა, როგორც ყველაზე მოწინავე, პროგრესული სისტემა, რომელიც ემყარება ერთადერთ სწორ მარქსისტულ-ლენინურ მოძღვრებას. **(მქუხარე ტაში).**

ჩვენ არ გვაკვირვებს და პროტესტს არ ვაცხადებთ, როცა კაპიტალისტური სამყაროს, ესე იგი მოწინააღმდეგე სისტემის, იდეოლოგები აცხადებენ, რომ გაიმარჯვებს კაპიტალიზმი. ჩვენ ბუნებრივად მიგვაჩნია ასეთი დავა — მას მხოლოდ ისტორია გადაჭრის.

თუ ზოგიერთ მოღვაწეს „ჟენევის სულისკვეთების“ დარღვევად მიაჩნია ჩვენი რწმენა, რომ გამარჯვება სოციალიზმს, მარქსიზმ-ლენინიზმის მოძღვრებას დარჩება, როგორც ჩანს, ამ მოღვაწეებს სწორად არ ესმით „ჟენევის სულისკვეთება“. მათ უნდა ახსოვდეთ, რომ ჩვენ არასოდეს არ გვითქვამს და არც ვიტყვით უარს ჩვენს იდეებზე, კომუნიზმის გამარჯვებისათვის ბრძოლაზე. ჩვენს იდეოლოგიურ განიარაღებას ისინი ვერასოდეს ვერ მოესწრებიან! **(მქუხარე, ხანგრძლივი ტაში).**

ჩვენი რწმენა, რომ კომუნიზმი საბოლოოდ გაიმარჯვებს, არ მოსწონთ კაპიტალისტს მომხრეებს, და ეს ჩვენ არ გვაკვირვებს, არ გვაწუხებს. მაგრამ ჩვენ ვამბობთ: ამ შეჯიბრებაში, ამ ბრძოლაში ჩვენ არასოდეს არ დავიწყებთ აგრესიულ ომს, დაუცხრომლად ვიბრძოლებთ გამალებული შეიარაღების წინააღმდეგ, განიარაღებისათვის, მშვიდობის საქმის განმტკიცებისათვის, მშვიდობიანი თანაარსებობისათვის.

ამრიგად, ფაქტები დამაჯერებლად გვიჩვენებენ, რომ „ჟენევის სულისკვეთებას“ არღვევს არა საბჭოთა კავშირი, არამედ ჟენევის თათბირის ჩვენი პარტნიორები.

მოვიყვანოთ კიდევ ასეთი მაგალითები. სწორედ იმ მომენტში, როცა ჯერ კიდევ მელანი არ შეშრობოდა ერთობლივ კომუნიკეს ჟენევის თათბირის შედეგების შესახებ, თათბირის ზოგიერთმა ჩვენმა პარტნიორმა დაიწყო აგრესიულ ბაღდადის პაქტში ახალი ქვეყნების ჩაბმა — მათ იქ შეიყვანეს ირანი და ცდილობენ ჩააბან სხვა სახელმწიფოები.

უმაღლესი საბჭოს ამ სესიის პირველ სხდომაზე ჩვენ გულდასმით მოვისმინეთ ირანის საპარლამენტო დელეგაციის მეთაურის ბატონ მოჰამედ საედის სიტყვა. მან თქვა, რომ ირანელ ხალხს სურს მშვიდობა და მეგობრობა საბჭოთა კავშირთან.

ჩვენ მივესალმებით ამ განცხადებას, მაგრამ არ შეგვიძლია არა ვთქვათ ის, რომ, მიუხედავად საბჭოთა კავშირის ყველა ღონისძიებისა, რომელთა მიზანია ირანთან მეგობრული ურთიერთობის უზრუნველყოფა, ამ ქვეყნის მთავრობა შევიდა ბაღდადის სამხედრო ბლოკში და ამით ირანის ტერიტორია გადასცა იმ აგრესიული ძალების განკარგულებაში, რომლებიც ამზადებენ სსრ კავშირზე თავდასხმის გეგმებს.

ეს ეხება არა მარტო ირანს, არამედ თურქეთსაც. ცნობილია, რომ როცა თურქეთის ხელმძღვანელობას სათავეში ედგნენ ქემალ ათათურქი და ისმეთ ინენიუ, ჩვენ მასთან ძალიან კარგი ურთიერთობა გვქონდა, მაგრამ შემდეგ ეს ურთიერთობა შეიბღალა. ჩვენ არ შეგვიძლია ვთქვათ, რომ ეს მოხდა მარტო თურქეთის მიზეზით, ჩვენც დავუშვით უადგილო განცხადებანი, რომლებმაც შებღალეს ეს ურთიერთობა.

მაგრამ ამის შემდეგ ჩვენ მივიღეთ ღონისძიებანი, რათა შეგვეცვალა შექმნილი მდგომარეობა და აღგვედგინა შეგობრული ურთიერთობა ამ ქვეყანასთან. მაგრამ თურქეთის სახელმწიფო მოღვაწეთა მხრივ, სამწუხაროდ, ვერ ვხედავთ საპასუხო ღონისძიებებს.

თურქეთში ჩადიან ამერიკელი გენერლები და ადმირალები, რომლებიც წარმოთქვამენ აგრესიულ სიტყვებს და ახდენენ თავიანთი ძალების დემონსტრაციას სამხედრო ფლოტების ვიზიტებით.

არა მგონია გონივრულად იქცეოდნენ ირანისა და თურქეთის მთავრობები, როცა თავიანთ ბედს უკავშირებენ აგრესიულ ბაღდადის პაქტს და უარს ამბობენ საბჭოთა კავშირთან კეთილმეზობლური, მეგობრული ურთიერთობის დამყარებაზე.

ანალოგიურ მდგომარეობაში აღმოჩნდა თავისი მეზობლების მიმართ პაკისტანიც, რომელიც აგრეთვე ბაღდადის პაქტის მონაწილეა. ხომ ფაქტია, რომ პაკისტანის ურთიერთობა ინდოეთთანაც, ავღანეთთანაც, საბჭოთა კავშირთანაც სასურველია ბევრად უკეთესი იყოს.

არ შეიძლება, კერძოდ, ყურადღება არ მივაქციოთ იმ ფაქტს, რომ სულ ცოტა ხნის წინათ პაკისტანს, ხოლო შემდეგ ირანსაც ეწვია ამერიკელი ადმირალი რედფორდი. იგი ამ ქვეყნებში იყო, როგორც ჩანს, არა ეკონომიური და კულტურული ურთიერთობის განსამტკიცებლად, არამედ სულ სხვა მიზნით.

ამერიკელი ადმირალის ეს ვიზიტი ადასტურებს წინათ გამოთქმულ შიშს, რომ პაკისტანსა და ირანს, მათი ეროვნული ინტერესების საწინააღმდეგოდ, სულ უფრო მეტად ამამენ აგრესიული ბლოკების ორგანიზატორები ავანტიურისტულ მაქინაციებში. შეიძლება ეჭვი არ ვიქონიოთ, რომ თუ პაკისტანი ისეთსავე დამოუკიდებელ პოზიციას დაიკავებდა, როგორც, მაგალითად, ინდოეთი, შეიქმნებოდა პირობები მეგობრული ურთიერთობის დასამყარებლად პაკისტანსა და მეზობელ ქვეყნებს შორის.

ჩვენ დარწმუნებული ვართ, რომ პაკისტანში მიხვდებიან, თუ რა არასასარგებლო მდგომარეობაში აღმოჩნდა მათი ქვეყანა, და გააკეთებენ საჭირო დასკვნებს. ჩვენი მხრივ მზად ვართ ხელი შევუწყოთ მეგობრული ურთიერთობის დამყარებას პაკისტანთან.

ბაღდადის პაქტთან დაკავშირებით რამდენიმე სიტყვა უნდა ითქვას მდგომარეობაზე ახლო და შუა აღმოსავლეთის ქვეყნებში. როგორც ცნობილია, ბაღდადის პაქტის ორგანიზატორები ყოველ ღონეს ხმარობენ, რათა ჩაბან ამ აგრესიულ ბლოკში არაბთა ქვეყნები. მაგრამ ისინი ამ ქვეყნების ხალხთა მზარდ წინააღმდეგობას აწყდებიან.

საბჭოთა საზოგადოებრიობა თანაგრძნობით ადევნებდა და ადევნებს თვალყურს, კერძოდ, იორდანიის ხალხის მამაცურ ბრძოლას იმ ცდების წინააღმდეგ, რომ მისი ქვეყანა ძალით შეუერთონ ბაღდადის პაქტს.

ჩვენ გვესმის არაბთა ქვეყნების ხალხების მისწრაფება, რომლებიც იბრძვიან უცხოეთზე დამოკიდებულებისაგან სრული განთავისუფლებისათვის. ამავე დროს დაგმობის ღირსია ისრაელის სახელმწიფოს მოქმედება, რომელიც არსებობის პირველი დღეებიდანვე ემუქრება თავის მეზობლებს, ახორციელებს მათ მიმართ მტრულ პოლიტიკას.

ცხადია, რომ ასეთი პოლიტიკა არ შეესაბამება ისრაელის სახელმწიფოს ეროვნულ ინტერესებს და რომ იმათ ზურგს უკან, ვინც ასეთ პოლიტიკას ახორციელებს, დგანან ყველასათვის ცნობილი იმპერიალისტური სახელმწიფოები. ისინი ცდილობენ გამოიყენონ ისრაელი როგორც თავიანთი იარაღი არაბი ხალხების წინააღმდეგ და მხედველობაში აქვთ ამ რაიონის ბუნებრივი სიმდიდრის მტაცებლური ექსპლოატაცია.

მაშინ, როცა დასავლეთის სახელმწიფოები განაგრძობენ გამალებული შეიარაღების პოლიტიკას, აკოწიწებენ ავრესიულ ბლოკებს, საბჭოთა კავშირი თანმიმდევრულად და მტკიცედ ახორციელებს თავის მშვიდობისმოყვარულ საგარეო პოლიტიკას, მშვიდობისა და უშიშროების განმტკიცების ინტერესებისათვის განამტკიცებს მეგობრობას ყველა ხალხთან, ვისაც ეს სურს.

მარტო წელს საბჭოთა კავშირმა 640 ათასი კაცით შეამცირა თავისი შეიარაღებული ძალები, უარი თქვა თავის სამხედრო ბაზაზე ფინეთში — პორკალა-უდზე, ვადამდე გამოიყვანა თავისი ჯარები პორტ-არტურიდან. საბჭოთა კავშირმა დადო სახელმწიფო ხელშეკრულება ავსტრიასთან, რომელიც დაადგა მუდმივი ნეიტრალიტეტის გზას, და გამოიყვანა მისი ტერიტორიიდან ჯარები, დაამყარა დიპლომატიური ურთიერთობა გერმანიის ფედერალურ რესპუბლიკასთან, განახორციელა მთელი რიგი სხვა ასეთივე ეფექტიანი ღონისძიებანი მშვიდობის განსამტკიცებლად.

საბჭოთა კავშირმა აღადგინა მეგობრული ურთიერთობა იუგოსლავიასთან, რომელთანაც ჩვენ დიდხანს გვქონდა არანორმალური, გამწვავებული ურთიერთდამოკიდებულება. ჩვენ კვლავაც განვავითარებთ კეთილმეზობლურ მეგობრულ ურთიერთობას იუგოსლავიასთან, გავაფართოებთ ეკონომიურ და კულტურულ ურთიერთობას საბჭოთა კავშირსა და იუგოსლავიას შორის. **(ხანგრძლივი ტაში).**

ამ ღონისძიებებში თვალსაჩინო ადგილი უკავია ჩვენს მოგზაურობას ინდოეთში, ბირმასა და ავღანეთში და საბჭოთა კავშირსა და ამ ქვეყნებს შორის მიღწეულ შეთანხმებებს.

სსრ კავშირის უმაღლესი საბჭოს ამ სესიაზე 1956 წლის სახელმწიფო ბიუჯეტის განხილვის დროს ჩვენ ერთსულოვნად მივეცით ხმა თავდაცვის ხარჯების შემცირებას წინა წელთან შედარებით თითქმის 10 მილიარდი მანეთით.

ამავე დროს ამერიკის შეერთებული შტატების თავდაცვის მინისტრმა ვილსონმა ამ დღეებში გამოაცხადა, რომ ახალ საბიუჯეტო წელს შეერთებული შტატების შეიარაღებული ძალების შენახვის ხარჯები კიდევ ერთი მილიარდი დოლარით გადიდდება და მიაღწევს უდიდეს თანხას — 35-ნახევარ მილიარდ დოლარს. ვილსონს არ უთქვამს, რომ ამის გარდა ბიუჯეტში მცირე თანხები როდია გათვალისწინებული სხვა სამხედრო ხარჯებისათვის, მაგალითად, — ატომური იარაღის წარმოებისათვის, სტრატეგიული ნედლეულის მარაგის დასაგროვებლად და უცხო სახელმწიფოებისათვის სამხედრო „დახმარების“ გასაწევად.

ამრიგად, თუ ჩვენ ვასრულებთ კონკრეტულ საქმეებს, რომელთა მიზანია საერთაშორისო დაძაბულობის შენელება, მეორე მხრივ — დასავლეთის სახელმწიფოების მხრივ, ამას ჩვენ, სამწუხაროდ, ვერ ვხედავთ. პირიქით, ამერიკის შეერთებულ შტატებში ადიდებენ ასიგნობებს შეიარაღებისათვის. ამ ქვეყნის ხელმძღვანელი მოღვაწეები აფართოებენ აგრესიულ პაქტებს, ხოლო ზოგიერთი მათგანი აკეთებს აგრესიულ განცხადებებს, რომელთა მიზანი სულაც არ არის „ჟენევის სულისკვეთების“ განმტკიცება.

მაშ ვინ განამტკიცებს „ჟენევის სულისკვეთებას“ და ვინ უთხრის მას ძირს?

დასასრულ მე მინდა შევეხო ისეთ საკითხს, როგორიც არის კომუნისტური და მუშათა პარტიების საინფორმაციო ბიუროს შემდგომი არსებობის საკითხი, ბიუროსი, რომელსაც დასავლეთში კომინფორმს უწოდებენ.

კაცმა რომ თქვას, ასეთი საკითხის წარმოშობისათვის არავითარი საფუძველი არ არის. მაგრამ უცხოელი ჟურნალისტები ინდოეთში ძალიან ხშირად გვეკითხებოდნენ:

— რა იქნება, რომ გააუქმოთ კომინფორმი? არ შეიძლება შეწყვიტოთ კომპარტიების საქმიანობა სხვა ქვეყნებში?

ასეთივე კითხვებით მოგვმართავდნენ სხვა თანამოსაუბრენიც.

ჩვენი მხრივ ჩვენ ვეუბნებოდით ამ ადამიანებს:

— რატომ არ მოითხოვთ სოციალისტური ინტერნაციონალის დაშლას? რატომ არ მოითხოვთ კაპიტალისტთა სხვადასხვა საერთაშორისო გაერთიანების ლიკვიდაციას?

ამაზე ჩვენი თანამოსაუბრენი ვერაფერს ამბობდნენ.

რა თქმა უნდა, კომუნიზმის მოწინააღმდეგეებს არ მოსწონთ კომინფორმი. მაგრამ მეცნიერული კომუნიზმი, როგორც მოძღვრება, ხომ თითქმის ას წელიწადს არსებობდა მანამდე, სანამ დაარსდა კომუნისტური და მუშათა პარტიების საინფორმაციო ბიურო. კომინფორმის ფარგლებში თანამშრომლობა საშინაო საქმეა კომუნისტური და მუშათა პარტიებისა, რომლებიც მარქსიზმ-ლენინიზმის პლატფორმაზე დგანან და ეწევიან საზოგადოებრივი წყობილების გარკვეული წესის პროპაგანდას. კომუნისტური პარტიები არიან მუშათა კლასის წარმომადგენელნი, გამოხატავენ და იცავენ მის ინტერესებს, ხალხის მასების სასიცოცხლო ინტერესებს.

კომუნიზმის მტრებს არ მოსწონთ არა მარტო კომინფორმი, მათ გაცილებით უფრო არ მოსწონთ ის უცილობელი ფაქტი, რომ კომუნიზმის ყოვლისმძლე მოძღვრება წლითიწლობით სულ უფრო და უფრო მეტ ადამიანს იკრებს თავისი დროშის გარშემო ყველა ქვეყანაში. **(ხანგრძლივი ტაში).**

საბჭოთა ადამიანებს ახსოვთ, როგორ ამბობდნენ ერთ დროს ესერები, მენშევიკები და მუშათა კლასის სხვა მტრები, რომ ისინი ემხრობიან საბჭოთა ხელისუფლებას, მაგრამ მხოლოდ უბოლშევიკებოდ. ამ პარტიებს იმედი ჰქონდათ, რომ ასეთი ლოზუნგებით მოატყუებდნენ ხალხს, მოსწყვეტდნენ მას თავის ბელადს — კომუნისტურ პარტიას, რომელიც დიდმა ლენინმა დაარსა. მათ იცოდნენ, რომ ხელისუფლების შეცვლა შეიძლება, კომუნისტური პარტიის შეცვლა კი შეუძლებელია. შეუძლებელია აიძულონ იგი ხელი აიღოს მუშათა კლასის ინტერესების, ხალხის ინტერესების დაცვაზე, რადგან კომუნისტური პარტია არის მუშათა კლასისა და მშრომელი გლეხობის ნამდვილი ბელადი, ხალხის ბელადი და მისი სასიცოცხლო ინტერესების გამომხატველი. **(მქუხარე ტაში).**

ყველა ქვეყნის კომუნისტური პარტიები საბჭოთა კავშირის კომუნისტური პარტიის მსგალითისამებრ მთელ თავიანთ საქმიანობას განუყრელად უკავშირებენ მუშათა კლასის სასიცოცხლო ინტერესებს, ხალხის ინტერესებს. სწორედ ეს არ მოსწონთ ყველა იმათ, ვისაც სურს მუდამ ჩაგროს ხალხი. მათ არ მოსწონთ მუშათა კლასის საერთაშორისო სოლიდარობა და, რა თქმა უნდა, სურთ, რომ კომინფორმმა აღარ იარსებოს. მაგრამ ეს მათზე როდია დამოკიდებული! **(მქუხარე ტაში).**

* * *

აი, თითქოს, ყველა საკითხი, რომლებზეც, ჩემი აზრით, საჭირო იყო რამდენადმე უფრო დაწვრილებით შეჩერება.

ვამთავრებ რა ჩემს გამოსვლას, მინდა გამოვთქვა რწმენა, რომ უმაღლესი საბჭო მოიწონებს ინდოეთში, ბირმასა და ავღანეთში ჩვენი მოგზაურობის შედეგებს, რადგან იგი ემსახურება ინდოეთის, ბირმისა და ავღანეთის ხალხებთან საბჭოთა კავშირის ხალხების მეგობრობისა და თანამშრომლობის განმტკიცების საქმეს, მსოფლიოს ხალხების მეგობრობა კი ძლავრი წყაროა ხალხთა ძალისა, რომლებიც გზას უღობავენ ახალი ომის გაჩაღებას. **(მქუხარე, ხანგრძლივი ტაში).**

ნება მიბოძეთ, ამხანაგო დეპუტატებო, ამ მაღალ ტრიბუნიდან ერთხელ კიდევ გადავუხადო ჩვენი გულითადი მადლობა დიდ ინდოელ ხალხს, ინდოეთის რესპუბლიკის მთავრობას და პირადად პრემიერ-მინისტრს ბატონ ნერუს **(მქუხარე ტაში),** მეგობარ ბირმის კავშირის ხალხს, მის მთავრობას და პირადად ბირმის პრემიერ-მინისტრს უ ნუს **(მქუხარე ტაში),** მეგობარ ავღანეთის ხალხს, მის მთავრობას და პირადად პრემიერ-მინისტრს ბატონ მუჰამედ დაუდს. **(მქუხარე ტაში).**

ჩვენ მხურვალე მადლობას გამოვთქვამთ სტუმართმოყვარეობისათვის, ყურადღებისა და სიყვარულისათვის, რაც ამ ქვეყნების მილიონობით ადამიანმა გამოიჩინა საბჭოთა კავშირისადმი, ჩვენი დიდი ხალხისადმი ინდოეთში, ბირმასა და ავღანეთში ჩვენი მოგზაურობის დროს. **(მქუხარე ტაში).** სულით და გულით ვუძღვნით მადლობას სახელმწიფო და საზოგადო მოღვაწეებს, რომლებთანაც მოგვიხდა შეხვედრა, იმ შტატებისა და პროვინციების ხელმძღვანელებს, სადაც ჩვენ ვიყავით და სადაც მოგვიწყეს უაღრესად გულითადი და გულთბილი მიღება. **(მქუხარე ტაში).**

გაუმარჯოს მსოფლიოს ყველა ხალხის დიად მეგობრობას! **(მქუხარე, ხანგრძლივი ტაში).**

გაუმარჯოს საბჭოთა ხალხს — მშვიდობის საქმისათვის მძლავრ და უშიშარ მებრძოლს! **(მქუხარე, ხანგრძლივი ტაში).**

გაუმარჯოს საბჭოთა კავშირის დიად კომუნისტურ პარტიას, საბჭოთა კავშირის ყველა გამარჯვების სულისჩამდგმელსა და ორგანიზატორს! **(მქუხარე, ხანგრძლივი ტაში, რომელიც ოვაციად იქცევა. ყველანი ფეხზე დგებიან).**

მოსკოვს ჩამოვიდა გერმანიის დემოკრატიული რესპუბლიკის მთავრობის დელეგაცია

29 დეკემბერს მოსკოვს ჩამოვიდა გერმანიის დემოკრატიული რესპუბლიკის მთავრობის დელეგაცია პრემიერ-მინისტრ ოტო გროტეოლის მეთაურობით. დელეგაცია სამშობლოში მიემგზავრება ჩინეთის სახალხო რესპუბლიკაში, კორეის სახალხო-დემოკრატიულ რესპუბლიკასა და მონღოლეთის სახალხო რესპუბლიკაში მოგზაურობის შემდეგ.

ვნუკოვოს აეროდრომზე გერმანიის დემოკრატიული რესპუბლიკის მთავრობის დელეგაციას შეხვდნენ ამხანაგები ნ. ა. ბულგანინი, ა. ი. მიკოიანი, ვ. მ. მოლოტოვი, სსრ კავშირის უმაღლესი განათლების მინისტრი ვ. პ. ელიუტინი, ეკონომიური ურთიერთობის საქმეთა მთავარი სამმართველოს უფროსი კ. ი. კოვალი, არმიის გენერალი ი. ა. სეროვი, სსრ კავშირის მინისტრთა საბჭოსთან არსებული სამოქალაქო საჰაერო ფლოტის მთავარი სამმართველოს უფროსი ს. ფ. ევგორონკოვი, სსრ კავშირის საგარეო საქმეთა მინისტრის მოადგილე ვ. ს. სემიონოვი, მოსკოვის საბჭოს აღმასკომის თავმჯდომარე მ. ა. იასნოვი, საბჭოთა კავშირის კომუნისტური პარტიის მოსკოვის საქალაქო კომიტეტის მდივანი ე. ა. ფურცევა, საბჭოთა ქალების ანტიფაშისტური კომიტეტის თავმჯდომარე ნ. ვ. პოპოვა, სსრ კავშირის მინისტრთა საბჭოს თავმჯდომარის უფროსი ე. ა. ტარაბრინი, სსრ კავშირის საგარეო საქმეთა სამინისტროს საოქმო განყოფილების გამგე თ. თ. მოლოჩკოვი, სსრ კავშირის საგარეო საქმეთა სამინისტროს ევროპის მე-3 განყოფილების გამგის მოადგილე ა. ბ. არისტოვი, ნ. ი. ბელიაევი, პ. ნ. პოსპელოვი, სსრ კავშირის მინისტრთა საბჭოს თავმჯდომარის მოადგილენი ა. ნ. კოსიგინი, ვ. ა. მალაშევი, ი. თ. თევოსიანი, მ. ვ. ხრუნიჩევი, არმიის გენერალი ი. ა. სეროვი, საბჭოთა კავშირის კომუნისტური პარტიის მოსკოვის საქალაქო კომიტეტის მდივანი ე. ა. ფურცევა, საბჭოთა ქალების ანტიფაშისტური კომიტეტის თავმჯდომარე ნ. ვ. პოპოვა, სსრ კავშირის საგარეო საქმეთა სამინისტროს საოქმო განყოფილების გამგე თ. თ. მოლოჩკოვი, სსრ კავშირის საგარეო საქმეთა სამინისტროს ევროპის მე-3 განყოფილების გამგის მოადგილე ვ. ს. სემიონოვი, სსრ კავშირის მინისტრთა საბჭოს თავმჯდომარის ოქმის უფროსი ე. ა. ტარაბრინი, სსრ კავშირის საგარეო საქმეთა სამინისტროს საოქმო განყოფილების გამგე თ. თ. მოლოჩკოვი, სსრ კავშირის საგარეო საქმეთა სამინისტროს ევროპის მე-3 განყოფილების გამგის მოვალეობის შემსრულებელი ა. ბ. ალექსანდროვი, საბჭოთა და უცხოეთის პრესის წარმომადგენლები.

დელეგაციას შეხვდნენ აგრეთვე სსრ კავშირში გერმანიის დემოკრატიული რესპუბლიკის საელჩოს თანამშრომლები დროებითი საქმეთა რწმუნებულის კ. ზაიტცის მეთაურობით, საგანგებო და სრულუფლებიანი ელჩები კორეის სახალხო-დემოკრატიული რესპუბლიკისა სსრ კავშირში — ლი სან ჩო, მონღოლეთის სახალხო რესპუბლიკისა სსრ კავშირში — დ. ადილბიშა და ჩინეთის სახალხო რესპუბლიკის დროებითი საქმეთა რწმუნებული სსრ კავშირში ვენ ნინი და ამ საელჩოების თანამშრომელნი. (საკდესი).

ნ. ა. ბულგანინის, ნ. ს. ხრუშჩოვისა და ვ. მ. მოლოტოვის საუბარი ო. გროტეოლთან და ლ. ბოლცთან

29 დეკემბერს კრემლში გაიმართა სსრ კავშირის მინისტრთა საბჭოს თავმჯდომარის ნ. ა. ბულგანინის, საბჭოთა კავშირის კომუნისტური პარტიის ცენტრალური კომიტეტის პირველი მდივნის ნ. ს. ხრუშჩოვისა და სსრ კავშირის მინისტრთა საბჭოს თავმჯდომარის პირველი მოადგილისა და საგარეო საქმეთა მინისტრის ვ. მ. მოლოტოვის საუბარი გერმანიის დემოკრატიული რესპუბლიკის პრემიერ-მინისტრ ო. გროტეოლთან და გერმანიის დემოკრატიული რესპუბლიკის პრემიერ-მინისტრის მოადგილესთან და საგარეო საქმეთა მინისტრთან ლ. ბოლცთან.

საუბრის მსვლელობაში მოხდა აზრთა გაზიარება ორივე მხარისათვის საინტერესო საერთაშორისო საკითხებზე. დადასტურებულ იქნა, რომ ორივე მხარე ადგას ერთსულოვან აზრს იმის შესახებ, რომ აუცილებელად საჭიროა სახელმწიფოთა შემდგომი ღონისძიებანი ევროპის კოლექტიური უშიშროების უზრუნველყოფის მიმართულებით. სრულიად ევროპის კოლექტიური უშიშროების სისტემის ორგანიზაცია, რომელშიც მონაწილეობას მიიღებს როგორც გერმანიის დემოკრატიული რესპუბლიკა, ისე გერმანიის ფედერალური რესპუბლიკა, რეალურ წინამძღვრებს შექმნიდა გერმანიის საკითხის მოწესრიგებისათვის ევროპის მშვიდობის ინტერესების შესაბამისად.

საუბარში გამოითქვა ერთსულოვანი აზრი, რომ ერთადერთი რეალური გზა გადაიჭრას საკითხი გერმანიის, როგორც მშვიდობისმოყვარე და დემოკრატიული სახელმწიფოს გაერთიანებისა არსებულ პირობებში, ის არის, რომ მიღწეულ იქნას შესაბამისი შეთანხმება ორივე გერმანულ სახელმწიფოს—გერმანიის დემოკრატიულ რესპუბლიკასა და გერმანიის ფედერალურ რესპუბლიკას შორის.

საუბარი მიმდინარეობდა გულითადობისა და მეგობრობის ვითარებაში.

სსრ კავშირის მინისტრთა საბჭოს თავმჯდომარემ ნ. ა. ბულგანინმა სადილი გამართა გერმანიის დემოკრატიული რესპუბლიკის მთავრობის დელეგაციის პატივსაცემად

სსრ კავშირის მინისტრთა საბჭოს თავმჯდომარემ ნ. ა. ბულგანინმა 29 დეკემბერს კრემლის დიდ სასახლეში სადილი გამართა გერმანიის დემოკრატიული რესპუბლიკის მთავრობის დელეგაციის პატივსაცემად, რომელსაც მეთაურობს პრემიერ-მინისტრი ოტო გროტეოლი. დელეგაცია მოსკოვში იმყოფება გავლით და საშობლოში მიემგზავრება ჩინეთის სახალხო რესპუბლიკაში, კორეის სახალხო-დემოკრატიულ რესპუბლიკასა და მონღოლეთის სახალხო რესპუბლიკაში მოგზაურობის შემდეგ.

სადილზე იყვნენ გერმანიის დემოკრატიული რესპუბლიკის პრემიერ-მინისტრი ოტო გროტეოლი და მისი მეუღლე, პრემიერ-მინისტრის მოადგილე და საგარეო საქმეთა მინისტრი დოქტორი ლოტარ ბოლცი, იუსტიციის სამინისტროს სტატს-მდივანი დოქტორი ჰენრიხ ტეპლიცი, სახალხო პალატის საგარეო საქმეთა კომისიის თავმჯდომარე პეტერ ფლორინი, საგარეო საქმეთა სამინისტროს კოლეგიის წევრი ელზი ფრიც გროსე, გერმანიის თავისუფალ პროფკავშირთა გაერთიანების სამდივნოს წევრი კრისტა თაბლონსკაია, ბერლინის ჰუმბოლდტის სახელობის უნივერსიტეტის რექტორი, პროფესორი, დოქტორი ვალტერ ნაიე, სახალხო მილიციის გენერალ-მაიორი ჰენრიხ დოლეტცელი, სასოფლო-სამეურნეო კოოპერატივის თავმჯდომარე შრომის გმირი ერნსტ ვულფი, დრესდენის ვაგონშენებელი ქარხნის ოსტატი — აქტივისტი ვერნერ ჰორნი, გერმანიის დემოკრატიული რესპუბლიკის ელჩი სსრ კავშირში ა. კენიგი, საელჩოს მრჩეველი კ. ზაიტცი.

საბჭოთა კავშირის მხრივ სადილზე იყვნენ ლ. მ. კაგანოვიჩი, ა. ი. კირიჩენკო, გ. მ. მალენკოვი, ა. ი. მიკოიანი, ვ. მ. მოლოტოვი, მ. გ. პერვუხინი, მ. ზ. საბუროვი, მ. ა. სუსლოვი, ნ. ს. ხრუშჩოვი, პ. კ. პონომარენკო, ნ. მ. შვერნიკი, ა. ბ. არისტოვი, ნ. ი. ბელიაევი, პ. ნ. პოსპელოვი, სსრ კავშირის მინისტრთა საბჭოს თავმჯდომარის მოადგილენი ა. ნ. კოსიგინი, ვ. ა. მალაშევი, ი. თ. თევოსიანი, მ. ვ. ხრუნიჩევი, არმიის გენერალი ი. ა. სეროვი, საბჭოთა კავშირის კომუნისტური პარტიის მოსკოვის საქალაქო კომიტეტის მდივანი ე. ა. ფურცევა, საბჭოთა ქალების ანტიფაშისტური კომიტეტის თავმჯდომარე ნ. ვ. პოპოვა, სსრ კავშირის მინისტრთა საბჭოს თავმჯდომარის ოქმის უფროსი ე. ა. ტარაბრინი, სსრ კავშირის საგარეო საქმეთა სამინისტროს საოქმო განყოფილების გამგე თ. თ. მოლოჩკოვი, სსრ კავშირის საგარეო საქმეთა სამინისტროს ევროპის მე-3 განყოფილების გამგის მოვალეობის შემსრულებელი ა. ბ. ალექსანდროვი.

სადილმა მეგობრულ, გულითად ვითარებაში ჩაიარა. (საკდესი).

მოსკოვიდან გაემგზავრა გერმანიის დემოკრატიული რესპუბლიკის მთავრობის დელეგაცია

30 დეკემბერს მოსკოვიდან სამშობლოში გაემგზავრა გერმანიის დემოკრატიული რესპუბლიკის მთავრობის დელეგაცია პრემიერ-მინისტრის ოტო გროტეოლის მეთაურობით. დელეგაცია მოსკოვში იყო გავლით ჩინეთის სახალხო რესპუბლიკაში, კორეის სახალხო-დემოკრატიულ რესპუბლიკასა და მონღოლეთის სახალხო რესპუბლიკაში მოგზაურობის შემდეგ.

ვნუკოვოს აეროდრომზე გერმანიის დემოკრატიული რესპუბლიკის მთავრობის დელეგაცია გააცილეს ამხანაგებმა ნ. ა. ბულგანინმა, ა. ი. მიკოიანმა, ვ. მ. მოლოტოვმა, სსრ კავშირის კულტურის მინისტრმა ნ. ა. მიხაილოვმა, სსრ კავშირის უმაღლესი განათლების მინისტრმა ვ. პ. ელიუტინმა, ეკონომიური ურთიერთობის საქმეთა მთავარი სამმართველოს უფროსმა კ. ი. კოვალმა, არმიის გენერალმა ი. ა. სეროვმა, სსრ კავშირის მინისტრთა საბჭოსთან არსებული სამოქალაქო საჰაერო ფლოტის მთავარი სამმართველოს უფროსმა ს. ფ. ევგორონკოვმა, სსრ კავშირის საგარეო საქმეთა მინისტრის მოადგილემ ვ. ს. სემიონოვმა, მოსკოვის საბჭოს აღმასკომის თავმჯდომარე მ. ა. იასნოვმა, საბჭოთა კავშირის კომუნისტური პარტიის მოსკოვის საქალაქო კომიტეტის მდივანმა ე. ა. ფურცევამ, საბჭოთა ქალების ანტიფაშისტური კომიტეტის თავმჯდომარემ ნ. ვ. პოპოვამ, სსრ კავშირის მინისტრთა საბჭოს თავმჯდომარის უფროსმა ე. ა. ტარაბრინმა, სსრ კავშირის საგარეო სა